



ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სარფის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თამარ დემეტრაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)
წევრები:

1. ნიკოლოზ წულაია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
2. რუსუდან არზიანი(საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)
3. მზია კიპაროიძე(საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)
4. ია გაგნიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)
5. დავით კიკაბიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)
6. მაია სიხარულიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,, წევრი)
7. როლანდი ხოჯანაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)
8. ჯულიეტა ტაბეშაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)
9. მურად ფახურიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)
10. ნათია ბალხამაშვილი (ზოგადი განათლების დაწესებულების საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. დემეტრაშვილი



ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სარფის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	248386820

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი სოფელი სარფი
იურიდიული მისამართი	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი სოფელი სარფი
ფაქტობრივი მისამართი	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი სოფელი სარფი
საფოსტო ინდექსი	6414
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/545

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. გეგუაძე



ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	sarpi@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577304290

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	2023 წლის 11 აგვისტოს N 985355
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	31.08/1.09

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის,
---	--	---	---	---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



				ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1.	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი სოფელი სარფი
2.	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი სოფელი სარფი
3.	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი სოფელი სარფი

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებით“ განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის შესრულების შემოწმების მიზნით განხორციელდა ვიზიტი სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სარფის საჯარო სკოლაში

ექსპერტთა ჯგუფი, ვიზიტის დაწყებამდე გაეცნო სკოლის თვითშეფასებას და თანდართულ დოკუმენტაციას. ჯგუფმა შეიმუშავა დღის წესრიგი, წარმოების ფარგლებში დამატებით გამოსათხოვი დოკუმენტაციის ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გადაეცა ვიზიტამდე.

ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. დავითაძე

წინასწარ გაწერილი დღის წესრიგით განსაზღვრულ დროს ჩატარდა ინტერვიუება დაწესებულების წარმომადგენლებთან, კერძოდ : სკოლის დირექტორთან, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებთან, საქმისმწარმოებელთან, , საგნობრივი კათედრების წარმომადგენლებთან.

ვიზიტი განხორციელდა პირისპირ და დისტანციური ფორმით. ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის ექსპერტი იმყოფებოდა ადგილზე ვიზიტით, ხოლო დანარჩენმა საგნობრივმა ექსპერტებმა დისტანციურ რეჟიმში განახორციელეს ინტერვიუ .

აღიწერა და შეფასდა ოთხივე სტანდარტის ყველა კომპონენტი. სკოლამ უზრუნველყო გარკვეული მტკიცებულებების წარმოდგენა, თუმცა არასრულად.

ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, დაწესებულების წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს განმარტეს ზოგიერთი საკითხი. ექსპერტების მიერ, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები ვიზიტის დასასრულს გაეცნო დაწესებულების წარმომადგენლებს.


დასკვნის პროექტის პასუხად სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, გარკვეულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის გაწერილი გრაფიკით. ექსპერტთა ჯგუფმა სრულად გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, აღნიშნული აისახა შეფასებაზეც.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
 ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. დავითაძე



	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. გეგუაძე



სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ლონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: -----180-----	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	☒ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. გეგუაძე



	☐	
--	--------------------------	--

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ექსპერტთა ჯგუფმა სრულად შესაბამისად შეაფასა დაწყებითი, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. დავითაძე



სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი არ დაფიქსირებულია

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	ხარვეზი არ დაფიქსირებულია
ინდიკატორი N....		

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

¹ გარდა მხოლოდ სტანდარტის ნაილობრივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. დავითაძე



სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას.	სკოლამ შესაბამისობის ერთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ 31.08.2023- 31.08.2024 ვადებში მოიპოვოს დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ მოიპოვოს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა მოიპოვოს დასკვნა შენობა- ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. (მიწერილობა აღმოფხვრის შესახებ) სკოლამ შესაბამისობის ერთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ 31.08.2023- 31.08.2024 ვადებში აიყვანოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმის მომსახურება. სკოლამ შესაბამისობის ერთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ 31.08.2023- 31.08.2024 ვადებში ზუსტი და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. გ. გ. გ.



		საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში არსებული რეაქტივები მოათავსოს უსაფრთო ადგილას.
ინდიკატორი 3.5.1.1	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	სკოლამ შესაბამისობის ერთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ 31.08.2023- 31.08.2024 ვადებში მოიპოვოს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლითაც დადასტურდება მფლობელობა/საკუთრება
ინდიკატორი 3.5.1.2	დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;	სკოლამ 16.10.202-31.10.2023 ვადებში შექმნას საბიბლიოთეკო წესით დამუშავებული სასწავლო რესურსების კატალოგი
ინდიკატორი 3.6.3.5.	ვებ.გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ, მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამების სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხის პროცედურები და მისანიჭებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო	სკოლამ შესაბამისობის ერთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ 16.08.202- 31.10.2023 ვადებში ვებგვერდზე განათავსოს სტანდარტის შესაბამის ინფორმაცია სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამების სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხის პროცედურები და მისანიჭებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. გ. გ. გ.



	გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		*****

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
სტანდარტი 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის	სკოლას მიეცა რჩევა აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



	საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას.	
3.5.1.1	სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას	სკოლას მიეცა რჩევა ზუსტი და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში დამონტაჟდეს გამწოვი და ონკანი
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი -დაწყებითი საფეხური	რჩევა
ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	სკოლას მიეცა რჩევა მათემატიკაში დაამატონ მე-3 მე-6 კლასში ელ. რესურსებს, Geogebra, Mathigon, WolframAlpha-ს პლატფორმებიდან. ეს რესურსები უფასოა და მარტივად გამოსაყენებელი.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);	სკოლას მიეცა რჩევა მათემატიკაში დაამატონ ქვეცნებები.



ინდიკატორი 2.1.2.1 2.1.2.2	დაწყებითი საფეხური - ესთეტიკური აღზრდა	სკოლას მიეცა რჩევა სახვითი ხელოვნების დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმში ცნებების ველში შედეგების მაგივრად მიუთითონ სტანდარტით გათვალისწინებული შესაბამისი სამიზნე ცნებები, ასევე საკითხების ველში დატოვონ მხოლოდ ერთი შესაბამისი ან რამდენიმე საკითხთა გაერთიანებული კლასტერი
ინდიკატორი 2.1.2.1 2.1.2.2	საბაზო საფეხური - ესთეტიკური აღზრდა	სკოლას მიეცა რჩევა სახვითი ხელოვნების საბაზო საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმში ცნებების ველში შედეგების მაგივრად მიუთითონ სტანდარტით გათვალისწინებული შესაბამისი სამიზნე ცნებები, ასევე საკითხების ველში დატოვონ მხოლოდ ერთი შესაბამისი ან რამდენიმე საკითხთა გაერთიანებული კლასტერი ასევე IX კლასში მუსიკის კურიკულუმში პირველი თემის „მითი და რეალობა მუსიკაში“ ფარგლებში ამ ეტაპზე დატოვონ ორი ან სამი კომპლექსური დავალება, შესაბამისად ორი ან სამი საკითხი, რადგან მეცხრე კლასში მუსიკაში პირველ სემესტრში საათების რაოდენობა არის კვირაში 2 საათი, აქედან გამომდინარე ვერ მოესწრება ოთხი კომპლექსური დავალების სრულყოფილად განხორციელება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. გიგინეიძე



VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებზე და მითითებულ ხარვეზებზე. ექსპერტთა ჯგუფმა სრულად გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმა სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი შესაბამისობის გეგმა გაწერილია დროში მიღწევადი, რეალისტური ვადებით .

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.


ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სარფის საჯარო სკოლას შემუშავებული ჰქონდა სკოლის მისია და ხედვა. თუმცა,სკოლამ საჭიროდ მიიჩნია მისიისა და ხედვის რევიზია, რისთვისაც სკოლაში შეიქმნა ჯგუფი ,რომელმაც ჩაატარე კვლევა კითხვარების საფუძველზე, არსებული საჭიროებების შესასწავლად. კვლევაში ჩართული იყვნენ მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები. ჩამოყალიბდა ახალი მისია და ხედვა,სადაც გათვალისწინებულია ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, რომელიც გულისხმობს ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრებას და იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე. სკოლის მისიაა: სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სარფის საჯარო სკოლა ზრუნავს აღზარდოს დემოკრატიული კულტურის მატარებელი, ტრადიციების პატივისცემელი, მომავალზე ორიენტირებული მოქალაქე

ხედვა: სკოლის ყველა თანამშრომელს კარგად ესმის, რომ სოფელი სარფი არის ერთადერთი სოფელი საქართველოში, სადაც კომპაქტურად დასახლებული ლაზები ცხოვრობენ , თვითმყოფადი კულტურით, ტრადიციებით და ენით, ამიტომ ვზრუნავთ შევინარჩუნოთ, ვასწავლოთ და გადავცეთ მომავალ თაობებს ლაზური ენა, ფოლკლორი, ტრადიციები. ვიზრუნოთ ბავშვის გონებრივ, ფიზიკურ, ემოციურ და სულიერ განვითარებაზე, რათა ჩამოყალიბდეს სოციუმის სრულფასოვან წევრად. სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს კარგად ესმის, რომ ყველა ბავშვს აქვს ინდივიდუალური ნიჭი, შესაძლებლობა და განვითარების განსხვავებული პოტენციალი. ამიტომ სკოლა ზრუნავს დიფერენცირებული სწავლების ხელშეწყობაზე, რათა თითოეულმა მოსწავლემ შეიგრძნოს და დაინახოს საკუთარი პროგრესი. სკოლა მიმართილია თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების, პოტენციალისა და განსაკუთრებული ნიჭის გამოვლენასა და მაქსიმალურად განვითარებაზე. ხელს უწყობს თითოეული ბავშვის ცხოვრებას და წარმატებას დღევანდელ საზოგადოებაში სკოლისა და ოჯახის, სასკოლო საზოგადოების თანამშრომლობისა და პასუხისმგებლობის გადანაწილების გზით.

სკოლის ძირითადი ღირებულებებია: სიყვარული, თანადგომა, სამართლიანობა, ურთიერთპატივისცემა, პატრიოტიზმი, თანამშრომლობა, ტოლერანტობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



სკოლის მისია შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, აქცენტი გაკეთებულია სკოლის როლზე, განსაზღვრავს სკოლის კონკრეტულ მიზანს, ასახავს იმ ამოცანებს, ძლიერ მხარეებს, რაც საშუალებას მისცემს დაინტრესებულ პირს წარმოდგენა შეექმნას სკოლის შინაარსზე. ხედვა გამოხატავს როგორ განვითარდება სკოლა თავისი საქმიანობით, როგორ მიაღწევს მისიით დასახულ მიზნებამდე. ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

2. სკოლის მოქმედი მისიითა და ხედვით სკოლა ქმნის სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცეს.

სკოლა მისიით, ხედვით და ღირებულებებით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოების უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. მისიისა და ხედვის შესაბამისად განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების უსაფრთხო განვითარებაზე და სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობაზე მორგებული აქტივობები და ღონისძიებები. სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა სასწავლო და სოციალური პროექტი, აქტივობები სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით, ხორციელდება კლუბური მუშაობა. სოციო-კულტურული ატმოსფეროს ფორმირებისათვის სკოლა სასკოლო საზოგადოებას აძლევს შემოქმედებით თავისუფლებას და ხელს უწყობს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოვლენას. სკოლა ზრუნავს სასკოლო საზოგადოების პროფესიულ და პიროვნულ განვითარებაზე. სასწავლო პროცესში ყოველთვის გათვალისწინებული და პრიორიტეტულია მოსწავლის ინტერესი და უკუკავშირი, მიღებულია მათი წინადადებები და განსხვავებული მოსაზრებები.

მოქმედი და ახალი სამოქმედო გეგმის პროექტში განსაზღვრული ღონისძიებების მიხედვით გამოყოფილია პირები, სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლაში სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურული გარემოს შექმნას.

ვიზიტისას სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს დროს იკვეთება, რომ სკოლა ზრუნავს შექმნას უსაფრთხო გარემო, იზრუნოს საზოგადოების პიროვნულ განვითარებაზე.

შესაბამისად, სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, რასაც მოწმობს სკოლის ღირეექტორის N01-02/07 ბრძანებით სკოლის ფილოსოფიის რევიზიისა და სკოლის სტრატეგიული განვითარების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი, რომელმაც იმუშავა სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შექმნაზე, რაც დასტურდება თემთან ჩატარებული შეხვედრითა და ჩატარებული გამოკითხვით. სკოლამ კვლევის ფარგლებში შეადგინა კითხვარები, როგორც

მასწავლებლებისათვის, ასევე მშობლებისა და მოსწავლეებისათვის, რომ სასკოლო საზოგადოების უკუკავშირით დაედგინათ რა არის სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები, რა შესაძლებლობები აქვს სკოლას ხარისხიანი სწავლების უზრუნველსაყოფად, რამდენად ხშირად ახორციელებს სწავლის ახალ მიდგომებს, როგორია მშობელთა ჩართულობა და ა.შ. სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შექმნის მიზნით სკოლამ ჩაატარა საერთო კრება. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლას მისია, ხედვა და ღირებულებები, სასკოლო საზოგადოებისათვის გაზიარების მიზნით, განთავსებულია სკოლის შენობაში საინფორმაციო დაფაზე, აგრეთვე სკოლა იყენებს ფეისბუქ გვერდს, სადაც გაზიარებული აქვს აღნიშნული. გარდა ამისა, დამრიგებლები მშობელთა კრებებზე აცნობენ მშობლებს მისიას, ხედვასა და ღირებულებებს. ასევე, წარმოდგენილი სასკოლო -სასწავლო გეგმის პროექტი, რომლის ნაწილია მისია,ხედვა, ღირებულებები, შეთანხმდება სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცდება პედაგოგიური საბჭოს მიერ. ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

5. სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სარფის საჯარო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროა, რასაც ადასტურებს სკოლის საინფორმაციო დაფაზე გამოკრული დოკუმენტი, ფეისბუქ გვერდზე გაზიარებულია აღნიშნული დოკუმენტი, დამრიგებლები კრებებზე აცნობენ მშობლებს მისიას, ხედვასა და ღირებულებებს. სკოლას აქვს განათლების სამინისტროს მიერ შექმნილი ვებ გვერდი, როდესაც გვერდი გააქტიურდება სკოლა გააზიარებს მისიას, ხედვასა და ღირებულებებს სკოლის ვებ გვერდზეც. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. სკოლა ახორციელებს ზოგადი განათლების კანონის შესაბამისად სწავლებას სამივე საფეხურზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ გამოცემული ბრძანების (ბრძანება N448, 2005 წლის 13 სექტემბერი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №194, 2007 წლის 16 მარტი „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“) შესაბამისად მინიჭებული აქვს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი. სკოლის სახელია: სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სარფის საჯარო სკოლა..ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.


დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა-პროექტი

სკოლის ფილოსოფიის რევიზიისა და სკოლის სტრატეგიული განვითარების მიზნით, სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



იურიდიული პირის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი
მშობელთა, მასწავლებელთა, მოსწავლეთა კითხვარები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება


☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს; ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგია, დამტკიცებული სკოლის დირექტორის ბრძანებით N01-02/42. მეთოდოლოგიის მიხედვით ნათლად ჩანს ის ნაბიჯები, რომელიც უნდა განახორციელოს სკოლამ ეტაპობრივად შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შექმნისას. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია. მეთოდოლოგიით განსაზღვრულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება, გაზიარება, დამტკიცება, მონიტორინგი, შეფასება, ანგარიშის მომზადება. გათვალისწინებული ცვლილებების შესაძლებლობა, გადახედვა, მოდიფიკაცია, წარდგენა სამეურვეო საბჭოზე, უკუკავშირის გათვალისწინება, შესრულების ვადები, ინდიკატორების განსაზღვრა. ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

2. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის პროექტი 2023-2030 წლისათვის. სტრატეგიული გეგმა ეფუძნება მისას,ხედვას და ღირებულებებს. პროექტის მიხედვით, საჯარო სკოლას დაგეგმილი აქვს 2023-2030 წლებში იმუშაოს შემდეგი სტრატეგიული მიმართულებით:

- მასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;
- ადამიანური რესურსის განვითარება;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
- უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;
- სასკოლო საზოგადოების ჩართულობა;
- მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება;
- ორგანიზაციული განვითარება.

ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის პროექტი. აქედან გამომდინარე, ინდიკატორი არ იყო სტანდარტის შესაბამისი. დასკვნის პროექტის პასუხად სკოლამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა დამტკიცებული 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა, რომელიც შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

3. სკოლამ ვიზიტზე წამოადგინა 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმა შესაბამისობაშია ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმის მიზნებთან და ამოცანებთან. სამოქმედო გეგმის მიხედვით გათვალისწინებულია: კურიკულუმების შემუშავება/ განხორციელება, სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება, პედაგოგთა პროფესიული განვითარება, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება -და სხვა. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

4. სკოლამ წამოადგინა 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა სადაც განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები, შესაბამისი აქტივობის შესრულების ინდიკატორები. წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში სკოლას არ აქვს მითითებული შესაბამისი რესურსები. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია

ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმა

2022-2023 წლის სამოქმედო გეგმა

შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა-პროექტი


ერთწლიანი სამოქმედო გეგმა-პროექტი

შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. მეთოდოლოგიის დოკუმენტის შესაბამისად, სტრატეგიული პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის, სკოლამ უნდა განახორციელოს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება, სასკოლო საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით.

მეთოდოლოგიის დოკუმენტში მოცემულია სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შესახებ ინფორმაცია. სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება დაკვირვებით და შეფასებით, რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო სკოლის სტრატეგია. სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში კეთდება ყოველწლიურად, ხოლო სტრატეგიული გეგმის 3-4 წლის შემდეგ. შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, შესაძლოა განხორციელდეს სტრატეგიული მიზნების გადახედვა და სამოქმედო გეგმის ცვლილება.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით. სკოლის დირექტორთან და მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ ისინი თანამონაწილენი არიან სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტების შექმნის. შვიდწლიანი და ერთწლიანი გეგმების შემუშავების წინ სკოლის დირექტორის ბრძანების შესაბამისად შექმნილია სამუშაო ჯგუფი. სკოლის მიერ წამოადგენილია დირექტორის ანგარიში სამეურვეო საბჭოს მიმართ, ასევე პედაგოგიური საბჭოს ოქმი, სადაც განხილულია სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სკოლა ახორციელებს დაკვირვებას, ძირითადად კათედრების დონეზე, საგაკვეთილო პროცესსა და ცალკეული სემინტების საქმიანობაზე.

სადამრიგებლო პროგრამების რეალიზების მიზნით, აკეთებს სადამრიგებლო პროგრამების ანალიზს. ვიზიტის დროს კლასის დამრიგებლების მიერ წამოადგენილი იქნა სადამრიგებლო პროგრამები, სადაც მოცემულია კლასის სამოქმედო გეგმა კლასის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტერესების მიხედვით დაგეგმილი. აქედან გამომდინარე, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შეფასებას სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის გათვალისწინებით. ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისია.

3. დირექტორის ანგარიშისა და ახალი სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროობის უზრუნველყოფის პრაქტიკა სკოლას აქვს და ეს პრაქტიკა გათვალისწინებული იქნება ახალი სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობის უზრუნველყოფისთვის. გასაუბრებისას სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ გეგმების შემუშავების, შესრულების, შედეგების გაზიარების პროცესში ჩართავენ სასკოლო საზოგადოებას, სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს, რაც საშუალებას მისცემთ მოახდინონ გამოწვევა, იდენტიფიცირება და დაიგეგმოს შესაბამისი ნაბიჯები ამ მიმართულებით. სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების განხორციელების შედეგები გასაჯაროვდება სკოლის სოციალური ქსელის მეშვეობით, ხოლო ვებ გვერდის ამოქმედებისთანავე განათავსებენ საჯაროდ ვებგვერდზე ყველა დაინტერესებული მხარისთვის. ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

4. სკოლის პრაქტიკის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენებოდა სკოლის შემდგომი განვითარებისთვის და სამომავლოდ იგეგმება ანალოგიური პრაქტიკა. ინტერვიუების დროს სასკოლო საზოგადოებამ აღნიშნა, რომ რეგულარულად იმართება პედაგოგების, კათედრების შეხვედრები, სადაც განიხილავენ ზოგად დადებით და უარყოფით ტენდენციებს სკოლის განვითარებასთან დაკავშირებით, გამოიკვეთება პრობლემები და დაისახება გადაჭრის გზები, სკოლას გააზრებული აქვს დაგეგმილი აქტივობების მონიტორინგისა და შეფასების როლი და მნიშვნელობა. ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისია.


დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შვიდწლიანი 2023-2030წ სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტი;
- 2023-2024წ. სამოქმედო გეგმის პროექტი;
- 2022-2023წ. სამოქმედო გეგმა;

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა


3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სოფელ სარფის საჯარო სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული. სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანება N 01-02/37 სტრუქტურული ერთეულების პირების ფუნქციების განაწილების შესახებ. აღნიშნულ დოკუმენტში მკაფიოდაა გაწერილი სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობები. სკოლას ჯამში ჰყავს 31 თანამშრომელი: დირექტორი, დირექტორის მოადგილე (შეთავსებული აქვს სასწავლო და აღმზრდელობითი მომსახურება), 1 საქმისმწარმოებელი (პასუხისმგებელია სკოლაში პერსონალთა, მოსწავლეთა მიღება-ამორიცხვაზე), 1 ბუღალტერი, 1 ბიბლიოთეკარი (მუშაობს ყოველ დღე დილის 10:00 დან 17:00 სთ) სკოლაში არ არის მანდატური, თუმცა სკოლას ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, 23 მასწავლებელი და 1 სპეციალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



მასწავლებელი. ორი დარაჯი, ორი დამლაგებელი (პასუხისმგებელი ჰიგიენურ ნორმებზე სკოლის სამივე სართულზე). ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში იდება განახლებადი ხელშეკრულება სკოლასა და ყველა თანამშრომელს შორის, სადაც დეტალურად გაწერილია მხარეთა უფლება-მოვალეობები, შვებულების მიცემის წესი, შრომითი ანაზრაურების ოდენობა და წესი, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზრაურების წესი, მხარეთა პასუხისმგებლობის წესი. ეროვნული სასწავლო გეგმას დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე ახორციელებს 23 პედაგოგი. სკოლას არ ჰყავს ექიმი, თუმცა აქვს გამოცხადებული ვაკანსია და შესაბამისი სივრცე ექიმის კაბინეტის მოსაწყობად. სკოლაში მოქმედებს პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭოს, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინარული კომიტეტი, საგნობრივი კათედრები. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ოქმები- პედსაბჭო, სამეურვეო საბჭო, დისციპლინარული კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, კათედრები. პედაგოგთა პირად საქმეში განთავსებულია ძირითადი დოკუმენტაცია. ვიზიტის პერიოდში შემოწმდა ხელშეკრულებები, რომელიც შესაბამისია სკოლაში მოქმედ eschool-ის ბაზასთან. სკოლას პერსონალი შერჩეული ჰყავს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას, რაც დასტურდება სკოლის მიერ შექმნილი სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობების დოკუმენტით, თანამშრომელთა შრომითი ხელშეკრულებებით, აგრეთვე დირექტორის N 01-02/22 ბრძანებით შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ. ვიზიტის პერიოდში გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლის სტრუქტურული ერთეულები ასრულებენ საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს. სკოლის პერსონალი თანამშრომლობის საფუძველზე არეგულირებენ სასწავლო გარემოს, შეიმუშავენ საჭირო ღონისძიებებს. სკოლას ჰყავს სკოლის დირექტორის N 01-02/04 ბრძანების განსაზღვრული უსაფთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს სკოლის პერსონალთან. პედაგოგები სარგებლობენ მორიგეობის ცხრილით. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ თითოეულმა პირმა მკაფიოდ იცის საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ხარისხის და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების დამტკიცების შესახებ

სკოლის სტრუქტურული ერთეულების-პირების ფუნქციები

სტრუქტურული ერთეულების პირების ფუნქციების განაწილების შესახებ

ხელშეკრულებები

უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ ბრძანება.

მორიგეობის ცხრილი

საშტატო განრიგი


3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება შინაგანაწესით, შრომით ხელშეკრულებებითა და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით. აღნიშნული დოკუმენტი აყალიბებს კვალიფიციური კადრების შერჩევის, დასაქმებისა და შენარჩუნების არსებით საფუძველს და აერთიანებს ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებულ ძირითად პოლიტიკებს, პროცედურულ და მარეგულირებელ საკითხებს. სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, რომელიც უზრუნველყოფს მასწავლებლების შეფასების მიზნით დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერი ჯგუფის საქმიანობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:




პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულება შრომის კოდექსთან შესაბამისობაშია. ხელშეკრულების შინაარსს წარმოადგენს: ზოგადი დებულებები და მოვალეობები, შვებულების მიცემის წესი, სამუშაო დრო და დასვენების დრო, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, მხარეთა პასუხისმგებლობის წესი, ხელშეკრულებების მოქმედების ვადა, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა. ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა, რაც დასტურდება მკაფიოდ ჩამოყალიბებული პერსონალის უფლება-მოვალეობებით. სკოლის სასწავლო ნაწილთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა საკითხები, რაც ხელს უწყობს პერსონალის მართვას. კერძოდ, საგანგებო სიტუაციის დროს სკოლა შესაბამისად რეაგირებს. მაგალითად, ზამთრის პერიოდში ელექტროენერგიის შეწყვეტის შემთხვევაში სკოლა შეტყობინებას უგზავნის რესურს ცენტრს და ამცირებს საგაკვეთილო პროცესს მათთან შეთანხმებით. სკოლის პერსონალის ავადმყოფობის შემთხვევაში სკოლა წინასწარ შეიმუშავებს დამატებით გეგმას სასწავლო პროცესის უწყვეტ რეჟიმში წარსამართად.

სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა დირექტორის N 01-02/39 ბრძანებით. აგრეთვე დირექტორის N 01-02/22 ბრძანებით ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, რომელიც განსაზღვრავს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის ძირითადი მიმართულებები. ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით. სკოლის შინაგანაწესი განსაზღვრავს შრომითი ურთიერთობის წარმოშობის პირობებს. სკოლის მიერ ვიზიტზე წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი დამტკიცებული დირექტორის N 01-02/39 ბრძანებით განსაზღვრავს თანამშრომელთა მოზიდვის, შერჩევის, დაქირავების, ადაპტაცია-ორიენტაციის და სტაჟირების საკითხებს. სკოლის ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირის ძირითად ამოცანას წარმოადგენს სკოლის მიზნებიდან და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმებიდან გამომდინარე, უზრუნველყოს სამუშაოს მოთხოვნებთან შესაბამისი უნარ-ჩვევების, ცოდნის, გამოცდილებისა და ღირებულებების მქონე ადამიანთა მოზიდვა, გადარჩევა, დაქირავება და ორგანიზაციის სამუშაო გარემოში პირველადი ადაპტაცია-ორიენტაცია. სკოლის თანამშრომლების დაკომპლექტებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოზიდვისა და დაქირავების გამჭვირვალე, ობიექტური და მიუკერძოებელი პროცესის წარმართვას, აგრეთვე ნებისმიერი აპლიკანტისათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას და საკუთარი თავის რეალიზებისთვის მაქსიმალურად ხელშემწყობი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



პირობების შექმნას. სკოლის პედაგოგების შერჩევის მიზნით ვაკანსიის გამოცხადება ხდება, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. სკოლის დირექციასთან ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ სკოლაში ვაკანტურ თანამდებობებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირის შერჩევა ხდება ობიექტურობისა და გამჭვირვალების დაცვით. კერძოდ, კანონმდებლობის შესაბამისად ცხადდება შიდა და ღია კონკურსი. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ შიდა კონკურსის გამოცხადების შემდეგ შიდა კადრებით არ ხდება ვაკანტური ადგილის შევსება, სკოლა ღია კონკურსის შესახებ განაცხადს აქვეყნებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში, დასაქმების ვებგვერდზე, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. სკოლამ დადასტურებად წარმოადგინა ბრძანება N 01-02/03 დანართი N27 - ვაკანტური საათების შესავსებად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ, საკონკურსო კომისიის ოქმი N2 - გასაუბრება კანდიდატთან. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

4. სკოლაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. სკოლას საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილი აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტში. აგრეთვე, teachersjobs.ge-ზე დადებული ვაკანსიისას სკოლა უთითებს შესაბამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ხელშეკრულებები დადებულია შესაბამისი სტატუსის მიხედვით: უფროსი მასწავლებლის ხელშეკრულება, წამყვანი მასწავლებლის ხელშეკრულება და მენტორი მასწავლებლის ხელშეკრულება. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა პერსონალის პირადი საქმეები და შრომითი ხელშეკრულებები. სკოლას შრომითი ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული ყველა დასაქმებულ პირთან. პერსონალის პირადი საქმეების შესწავლისას დადგინდა, რომ ყველა პედაგოგს აქვს წარმოდგენილი ნოტარიულად დამოწმებული დიპლომის ასლი, პირადობის მოწმობის ასლი, ცნობა ნასამართლეობის შესახებ, CV, სტატუსის დამადასტურებელი სერტიფიკატი. პერსონალის პირადი საქმეების დათვალიერებით დასტურდება, რომ პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. პირად საქმეებში სკოლის ყველა თანამშრომელს წარმოდგენილი აქვს ცნობები: სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის ცნობები. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

5. სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სარფისსაჯარო სკოლაში პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, რაც დასტურდება საგნობრივი კათედრების, სამეურვეო საბჭოს, პედსაბჭოს, დისციპლინური კომიტეტის, ხარისხის მართვის ჯგუფის, საგნობრივი კათედრების, ინკლუზიური განათლების მონიტორინგის ჯგუფის, ისე ჯგუფების სხდომის ოქმებით. სკოლა ჩართულია USAID

საბაზისო განათლების პროგრამაში, რომლის ფარგლებში დაგეგმილ ტრენინგებს ესწრებიან 1-6 კლასების ქართულისა და მათემატიკის მასწავლებლები. თავად პროგრამის ხელმძღვანელები პერიოდულად შემოდიან სკოლაში, ესწრებიან მასწავლებლების ჩატარებულ გაკვეთილებს დირექციასთან ერთად, აძლევენ მასწავლებელს უკუკავშირს. პედაგოგები ერთად გეგმავენ გაკვეთილს, ესწრებიან საგაკვეთილო პროცესს და აწვდიან უკუკავშირს. შესაბამისი განრიგის მიხედვით ყოველ დღე სკოლაში საგაკვეთილო პროცესის შემდეგ მუშაობს ერთი კონკრეტული კათედრა გამოცდილების გასაზიარებლად და შესაბამისი ღონისძიებების დასაგეგმად. ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს ღონისძიებებისად აერთობლივი პროექტების ჩატარების მრავალმხრივი გამოცდილება. ამას ხელს უწყობს შესაბამისად აღჭურვილი სააქტო დარბაზი, სპორტ დარბაზი, ბიბლიოთეკა. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი, რაც დასტურდება შინაგანაწესში მოცემული შესაბამისი პუნქტით- დასაქმებულის წახალისების ფორმები. კერძოდ, დღესასწაულებთან დაკავშირებით, მოტივაციის ამაღლების მიზნით, შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, აგრეთვე დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის, საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის ან/და სხვა დასაბუთებული მიზეზის შემთხვევაში, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულთა მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები;

ა) მაღლობის გამოცხადება;

ბ) სიგელით დაჯილდოება;

გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;

დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა.

პირველი პუნქტით განსაზღვრული საფუძვლების არსებობისას ან სასწავლო წლის წარმატებით დასრულებისათვის სკოლის მიერ დასაქმებულთა მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნას წახალისების ფორმა - ექსკურსიის დაფინანსება. ერთდროულად გამოყენებული იქნეს წახალისების რამდენიმე გამოცდილების გასაზიარებლად აქტიურად მუშაობენ კათედრები- ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილზე და აძლევენ უკუკავშირს. დასაქმებულის მიმართ შეიძლება ფორმა. გასაუბრების დროს დირექციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ წარმატებული გამოცდილების გაზიარება და აღიარება ხდება აგრეთვე სკოლის საინფორმაციო დაფის და სოციალური ქსელის გამოყენებით. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შინაგანაწესი

მასწავლებელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი

შრომითი ხელშეკრულებები

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი

ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება

მასწავლებლის პირადი საქმე

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება


☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები. აღნიშნული მექანიზმების დადასტურებად სკოლამ წარმოადგინა სკოლაში დირექტორის N 01-02/22 ბრძანებით შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერი ჯგუფის დებულება. დებულების მიზანია მასწავლებელთა საჭიროებების განსაზღვრა და პროფესიული განვითარება, მასწავლებელთა პროფესიულ საქმიანობაზე დაკვირვება და უკუკავშირის მიცემა. ხარისხის ჯგუფი აძლევს მასწავლებელს განმავითარებელ უკუკავშირს გაკვეთელზე დასწრების შემდგომ, და აძლევს მასწავლებელს რეკომენდაციას შესაბამისი ტრენინგისა თუ აქტივობის დასაგეგმად. სკოლას აქვს 2023 წლის 14 აგვისტოს ბრძანებით დამტკიცებული ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკა, სადაც გაწერილია ღირებულებები, (რომელსაც ეფუძნება აღნიშნული პოლიტიკა,) ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგია, ახალი პედაგოგის ადაპტაციის წესი, შესრულებული სამუშაოს შეფასება და თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება. პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები ასევე ასახულია სკოლის მიერ ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილ 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის პროექტში. თანამშრომლებთან დადებული ხელშეკრულება მკაფიოდ განსაზღვრავს მათ ფუნქცი-მოვალეობებს. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება კათედრების აქტიური მუშაობით, საგაკვეთილო პროცესზე ურთიერთდასწრებით, ინტეგრირებული გაკვეთილების დაგეგმვა-განხორციელებით. მასწავლებლები ინდივიდუალური გადაწყვეტილებითა და სკოლის ადმინისტრაციის შეთავაზებით ერთვებიან სხვადასხვა ტრენინგებსა და აქტივობებში. სკოლის დირექტორის N 01-02/39 ბრძანებით შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი არეგულირებს პერსონალის საქმიანობის შეფასებასა და პროფესიული განვითარებას. აგრეთვე, 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა რომელიც არს პროექტის სახით წარმოდგენილი უზრუნველყოფს შემუშავებული გეგმის შესაბამისად პერსონალის განვითარებას. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

3. ვიზიტის პერიოდში ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას; ადმინისტრაცია აქტიურად არის ჩართული პერსონალის განვითარებაში. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი არეგულირებს პერსონალის შეფასებასა და კარიერულ განვითარებას. კერძოდ, სკოლის პერსონალის საქმიანობის შეფასების პოლიტიკა ემყარება შემდეგ მიზნებს: მოახდინოს სკოლის პერსონალის საჭიროებების, სუსტი მხარეების

იდენტიფიცირება და მოახდინოს მათი გამოსწორების გზების დასახვა; გამოავლინოს სკოლის პერსონალის შესაბამისი შესაძლებლობები და ხელი შეუწყოს მათ შემდგომ პროფესიულ განვითარებას; შეაფასოს სკოლის პერსონალის საქმიანობა სწავლების და ადმინისტრაციულ/ორგანიზაციულ სფეროებში; დროულად მოახდინოს აშკარა სირთულეების იდენტიფიცირება სკოლის პერსონალის მიერ პროფესიული მიზნებისა და ამოცანების განხორციელების პროცესში და დასახოს მისი მოგვარების გზები; სკოლის მიზნებიდან და სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე, მოხდეს კვალიფიცირებული პერსონალის საჭიროების გამოვლენა.

სკოლის პედაგოგების, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის მოიყენება შემდეგი მექანიზმები: სთავაზობს სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულ პროფესიული განვითარების ტრენინგებსა და საკონსულტაციო შეხვედრებს; ხელს უწყობს საერთაშორისო და ადგილობრივი პროექტების ფარგლებში და სხვადასხვა სამთავრობო/ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ სკოლასთან თანამშრომლობით დაგეგმილ ტრენინგებზე, სემინარებსა და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობას; გამოყოფს ფინანსურ რესურსს ტრენინგებზე მონაწილეობის მიზნით; სთავაზობს ერთი თვის ვადით ანაზღაურებად სასწავლო შვებულებას. 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმით დასტურდება, რომ სკოლა მუდმივად ზრუნავს უზრუნველყოს თანამშრომელთა სამუშაო გარემოსთან ინტეგრაცია, სამუშაო გარემოს კეთილმოწყობა, უსაფრთხოება და საგანმანათლებლო, საკანცელარიო, სანიტარულ-ჰიგიენური რესურსებით აღჭურვა. სკოლის თანამშრომლებთან ინტერვიუებით დასტურდება, რომ მათ საშუალება აქვთ იმუშაონ თავიანთი სტრუქტურიდან გამომდინარე შესაბამის გარემოში. მათთვის გამოყოფილია თავისუფალი სივრცე და ხელმისაწვდომია საჭირო რესურსები, კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, კურიკულუმით გათვალისწინებული სასკოლო რესურსები. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან; ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი არეგულირებს ახალდანიშნული თანამშრომლის სოციალიზაციისა და ადაპტაცია-ორიენტაციის პროცესს, რომლის მიზანია: ახალდანიშნული თანამშრომლის სამუშაო პროცესებში სწრაფ და ეფექტიან ჩართვას. სოციალიზაცია და ადაპტაცია-ორიენტაციის პროცესის ფარგლებში: ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირი ახალდანიშნულ თანამშრომელს გააცნობს სკოლის მიზნებს, ღირებულებებსა და სტრატეგიულ გეგმას, ასევე შინაგანაწესის მოთხოვნებსა და სკოლაში მოქმედ პროცედურებსა და წესებს. უშუალო ხელმძღვანელი ახალ თანამშრომელს გადასცემს თანამდებობრივ ინსტრუქციას და განუმარტავს თუ რას გულისხმობს არსებული სამუშაო და რა მოთხოვნები იქნება წაყენებული მისადმი, როგორ და რა კრიტერიუმებით შეფასდება იგი მომავალში და უსახავს ყველა იმ საჭირო ორიენტირს, რომელიც აუცილებელია მისი საქმიანობის ჯეროვნად შესრულებისათვის. საჭიროების შემთხვევაში,

ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირი და უშუალო ხელმძღვანელი, ერთობლივად ადგენენ კონკრეტულ ტრენინგ პროგრამას ახალი თანამშრომლისთვის, სადაც მითითებულია რა დამატებითი ცოდნა და უნარ-ჩვევები უნდა შეიძინოს თანამშრომელმა გამოსაცდელი პერიოდის განმავლობაში. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

5. სკოლაში წახალისებულია პერსონალის ინიციატივები. სკოლის შინაგანაწესით გაწერილია წახალისების ფორმები. სკოლა უწყვეტად ზრუნავს სკოლის პერსონალის განვითარებაზე. სამოქმედო გეგმის პროექტში გაწერილია მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა სხვადასხვა აქტივობებისა და მექანიზმების გამოყენებით.

მასწავლებლები გასაუბრებისას აღნიშნავენ, რომ სკოლა ხელს უწყობს მათ აქტიურ ჩართულობას ტრენინგებზე, სემინარებზე, კონფერენციებსა და შეხვედრებზე. სკოლა მუდმივად აწვდის ინფორმაციას მასწავლებლებს პროფესიული განვითარებისათვის აუცილებელ და საჭირო ტრენინგ-მოდულებზე, ასევე სკოლის დირექციის მიერ მხარდაჭერილია მასწავლებელთა ინიციატივით დაგეგმილი სხვადასხვა პროფესიული განვითარებისათვის საჭირო აქტივობების განხორციელება, კერძოდ, შიდა კონფერენციები, პროექტები, ურთიერთდასრებები და კათედრების აქტიური თანამშრომლობა. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერი ჯგუფის დებულება.

2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის პროექტი

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა

შინაგანაწესი

შეფასება:


- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად, რასაც ადასტურებს სასკოლო სასწავლო გეგმა, სკოლის შინაგანაწესი, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერი ჯგუფის დებულება. ჯგუფის მუშაობა განისაზღვრება დებულებით, რომლის მიხედვითაც ხორციელდება პედაგოგთა დაკვირვება, შეფასება და სწავლა/სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა. საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც სრულადაა აღწერილი სასწავლო პროცესი, შემუშავებულია სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების დებულებები, სტრატეგიული გეგმის დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელსაც, როგორც სკოლის დირექტორმა აღნიშნა, აფუძნებს მმართველობის პროცესებს და ციკლური უზრუნველყოფა ხდება ზეპირსიტყვიერად. როგორც თვითშეფასებაში სკოლა აღნისნავს, სწავლება

მიმდინარეობს კათედრებზე მასწავლებლების მიერ შედგენილი გეგმებით, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე.

სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუთი და წარმოდგენილი დოკუმენტებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა 2023-2024 სასწავლო წლისათვის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა დაეფუძნოს პროცესულ მიდგომას და განხორციელდეს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. დასახელებულს ადასტურებს სასკოლო სასწავლო გეგმა, სკოლის სტრუქტურის ფუნქციამოვალეობის განმსაზღვრელი დოკუმენტით, ადმინისტრაციას შორის განაწილებული უფლება-მოვალეობებით, სასკოლო სასწავლო გეგმა, სკოლის შინაგანაწესი, სამოქმედო გეგმა, ინკლუზიური განათლების წესი, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - აღწერს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა პროცესს და წარმოადგენს საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებულ დამხმარე თუ მმართველობით პროცესებს. ასევე ხელშეკრულებებში მოცემული და კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრული ვალდებულებებით. ვიზიტის დროს სასკოლო საზოგადოების წევრებმა აღწერეს სკოლაში მიმდინარე სხვადასხვა პროცესი: სტრატეგიული დაგეგმვა, წლიური დაგეგმვა, ხარისხის უზრუნველყოფა, კურიკულუმის განვითარება და სასწავლო პროცესის ორგანიზება, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება, საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება, ფინანსური, ადამიანური და მატერიალური რესურსის მართვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, საქმისწარმოება, კარიერული განვითარება. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა; სკოლის შინაგანაწესი განსაზღვრავს თანამშრომლების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის წესი. სკოლაში შექმნილია დისციპლინური კომიტეტი. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი გასაჩივრების დეტალების შესახებ, რომელიც განსაზღვრავს რომელ სტრუქტურულ ერთეულში შეიძლება საჩივრის შეტანა. აგრეთვე, წარმოდგენილი იქნა დოკუმენტი მოსწავლის განცხადების/საჩივრის განხილვა ბავშვთა უფლებათა კონვენციის მიხედვით, დამტკიცებული სკოლის დირექტორის N 01-02/40 ბრძანებით. ინტერვიუებისას სტრუქტურულმა ერთეულებმა აღნიშნეს, რომ ამ დრომდე სკოლაში არ ყოფილა გასაჩივრების შემთხვევა. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა ხორციელდება სკოლის

შინაგანაწესით. სკოლას წარმოდგენილი აქვს დირექტორის 01-02/43 ბრძანებით დამტკიცებული მოსწავლის/პერსონალის/მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმი. სკოლის დირექტორის N 01-02/36 ბრძანების დამტკიცებული დოკუმენტი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ უზრუნველყოფს სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმებს. კერძოდ, მექანიზმი მოიცავს პერსონალური მონაცემების დაცვას, მოსწავლის პერსონალური მონაცემების დაცვას ელექტრონული პროგრამის (Teams) გამოყენების შემთხვევაში, მოსწავლის მონაცემების დაცვას ელექტრონული ჟურნალის წარმოების შემთხვევაში, მონაცემების დაცვა ვიდეოთვალთვალის განხორციელებისას, მონაცემების დაცვა მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმის წარმოებისას და ა.შ სკოლაში მრავლობითი პროექტი ხორციელდება მოსწავლეთა უფლებების დაცვის მიმართულებით ცნობიერების ასამაღლებლად. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

2022-2023 სასკოლო სასწავლო გეგმა

შინაგანაწესი

სკოლის სტრუქტურა

დოკუმენტი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ


დოკუმენტი მოსწავლის განცხადების/საჩივრის განხილვა ბავშვთა უფლებათა კონვენციის მიხედვით

მოსწავლის/პერსონალის/მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული კოლეგიური ორგანოები - სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა. აღნიშნული ორგანოების წარმომადგენლები მონაწილეობენ მართვის პროცესებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში, რაც დასტურდება შესაბამისი ოქმებით. რაც შეეხება ინფორმირებასა და უკუკავშირის მექანიზმს მშობლებთან, სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი უზრუნველყოფს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას, უკუკავშირის მიღებასა და მასზე რეაგირებას. სკოლა ინფორმაციის გასაზიარებლად იყენებს სოციალურ ქსელში შექმნილ დახურულ ჯგუფებს, რომელსაც აკონტროლებს სკოლის ადმინისტრაცია. აქედან გამომდინარე, ზიარდება სანდო ინფორმაცია. კვირაში ერთი დღე მშობლებს შეუძლიათ ეწვიონ სკოლას, შეხვდნენ დამრიგებელსა და საგნის პედაგოგებს, გაესაუბრონ, გაცვალონ ინფორმაცია, რჩევები და რეკომენდაციები. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

2.. სასკოლო საზოგადოების წევრები სასკოლო ცხოვრებაში აქტიურად არიან ჩართულნი. ამას მოწმობს ერთობლივად დაგეგმილი გაკვეთილები, ურთიერთდასწრება, კათედრების მუშაობა. კლუბების მუშაობა. სასკოლო საზოგადოების წევრების აქტიური ჩართულობა ჩანს სამეურვეო საბჭოს არჩევისა და დაკომპლექტების პროცესში. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან ინტერვიუს დროს ადგილზე შესწავლილი ოქმების საფუძველზე იკვეთება მათი აქტიური ჩართულობა. სკოლაში აქტიურობით გამოირჩევა მოსწავლეთა თვითმმართველობა, დასტურდება აქტივობები ოქმებით. დირექციამ ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ მოსწავლეთა თვითმმართველობა მონაწილეობს სკოლის მართვაში. ფორმალური და არაფორმალური განათლების კუთხით ისინი სხვადასხვა აქტივობას ახორციელებენ. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის სტრუქტურული ერთეულების ოქმები

საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში არ არის მანდატური. განსაზღვრულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი დირექტორის N01-02/04 ბრძანებით. დამონტაჟებულია 16 ვიდეოთვალი, რომლებიც უზრუნველყოფს შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს, ვიდეომასალები ინახება სამი კვირის განმავლობაში. სკოლა 24 საათის განმავლობაში დაცულია გარეშე პირთა უკონტროლო მოძრაობისგან -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომელსაც აკონტროლებენ დარაჯები. სკოლაში დგება სასწავლო წლის დაწყებასთან ერთად დღის რეჟიმი, მორიგეობის ცხრილი, კალენდარი . სკოლას არ ჰყავს ექიმი, თუმცა გამოყოფილია ექიმის ოთახის კაბინეტი შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი, სასწავლო პროცესის დაწყებამდე სკოლაში გამოცხადდება ვაკანსია ექიმის პოზიციაზე. სკოლაში 2020 წელს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ ჩატარდა სკოლის შენობის დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმება, სამსახურმა წარმოადგინა დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების დარღვევის აღმოფხვრაზე. სკოლას არ აქვს მიწერილობა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების დარღვევის აღმოსაფხვრელად. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ დადგენილი შესასრულებელი ღონისძიებები სკოლას არ შეუსრულებია. სკოლას არ წარმოუდგენია დოკუმენტი შენობის მდგრადობის შესახებ, აგრეთვე არ აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.სკოლას მიეცა რჩევა აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.სკოლა ზუსტი და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში ცდებისთვის განკუთვნილ რეაქტივებს ინახავს სივრცეში,რომელიც არ ნიავედება,.

დასკვნის პროექტის პასუხად სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა გაწერილი რეალისტური ვადებით, რომლის თანახმად 31.08.2024-მდე პერიოდში მოიპოვებს:

დასკვნას შენობის მდგრადობის შესახებ;

უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებულ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმას;

დასკვნას შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ;

კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმის მომსახურებას.

ზუსტი და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში არსებული რეაქტივებს მოათავსებს უსაფრთხო ადგილას.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის ერთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ 31.08.2023-31.08.2024 ვადებში მოიპოვოს დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ

უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა

დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.(მიწერილობა აღმოფხვრის შესახებ)

სკოლამ შესაბამისობის ერთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ 31.08.2023-31.08.2024 ვადებში აიყვანოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმის მომსახურება.

სკოლამ შესაბამისობის ერთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ 31.08.2023-31.08.2024 ვადებში ზუსტი და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში არსებული რეაქტივები მოათავსოს უსაფრთხო ადგილას.

ინდიკატორი შეფასდა მეტწილი შესაბამისობით.

2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას სკოლის შინაგანაწესით. შინაგანაწესიდან გამომდინარე სკოლა ვალდებულია დაიცვას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფაში ჩართულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, კლასის დამრიგებლები და სკოლის დარაჯი. აღნიშნული დოკუმენტებითა და პროცესში ჩართული პირებით სკოლა არეგულირებს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უცხო პირთა გადაადგილებას. მიმდინარეობს შესასვლელი კარის მუდმივი მეთვალყურეობა სკოლის დარაჯის მიერ, რომელიც აკონტროლებს შემოსულ პირებს. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს. კლასის დამრიგებლები, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, სპეცმასწავლებელი, სკოლის ადმინისტრაცია ზრუნავენ უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად. დამრიგებლები კლასსაათზე მოსწავლეებთან მართავენ დისკუსიებს სხვადასხვა საკითხების გარშემო. აგრეთვე, სკოლაში აქტიურად მუშაობს კლუბები, რომელიც შექმნილია მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე, იმართება სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები, ექსკურსიები, პროექტები რაც ხელს უწყობს სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლის დირექტორის N01-02/41 ბრძანებით დამტკიცებულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი. სველი წერტილებისა და საკლასო ოთახების ვიზუალური დათვალიერებისას გამოიკვეთა სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის ჯანდაცვის მიერ დადგენილ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებთან შესაბამისობა, კერძოდ, საკლასო ოთახები და სველი წერტილები აღჭურვილია ყველა საჭირო რესურსებით. საპირფარეშოებისა და საკლასო ოთახების დალაგება ხდება სველი წესით დღეში რამდენიმეჯერ. ინდიკატორი სტანდარტი შესაბამისია.
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას. დირექტორის N 01-02/36 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის პერსონალურ მონაცემთადაინფორმაციის დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმი. დოკუმენტით განსაზღვრულია მონაცემთა დაცვის პრინციპები, პერსონალური მონაცემების დამუშავება, მოსწავლის პერსონალური მონაცემების დაცვა ელექტრონული პლატფორმის გამოყენების შემთხვევაში. სკოლა სარგებლობს სამინისტროს ინტერნეტით, აქედან გამომდინარე, სკოლაში გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა ლიცენზირებულია. პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი რომელიც ახორციელებს ინფორმაციის შეტანას, შეცვლას, წაშლას, მოძიებას. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაცნობა მშობლისათვის ხდება ელექტრონული ჟურნალის საშუალებით. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

6. სკოლაში დაცულია მოსწავლეთა, მასწავლებელთა და სკოლის ტექნიკურ პერსონალთა მონაცემები და არ არის ხელმისაწვდომი ნებისმიერი პირისთვის. მოსწავლეთა, პედაგოგთა და სასკოლო პერსონალის პირადი საქმეები ინახება საქმისმწარმოებლის კაბინეტში უსაფთხო ადგილას. ინტერვიუებისას საქმისმწარმოებელმა აღნიშნა, რომ მესამე პირს არ გადასცემს პირადი ინფორმაციის დამადასტურებელ დოკუმენტაციას. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

7. სკოლაში ფუნქციონირებს უსაფრთხოების სხვადასხვა მექანიზმები. სკოლაში დამონტაჟებულია 16 ვიდეოთვალი, რომლებიც უზრუნველყოფს შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს, ვიდეომასალები ინახება სამი კვირის განმავლობაში. სკოლა 24 საათის განმავლობაში დაცულია გარეშე პირთა უკონტროლო მოძრაობისგან - რომელსაც აკონტროლებენ დარაჯები. სკოლას აქვს მასწავლებელთა მორიგეობის პრაქტიკა. მორიგე მასწავლებლები ზრუნავენ მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე. სკოლა სამომავლოდ გეგმავს უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებას, რის შედეგადაც ექნება ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასების მექანიზმი. შეფასების შედეგებს გამოიყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის..ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის პერსონალურ მონაცემთადაინფორმაციის დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმი.

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი.

N762 მიწერილობა

სახანძრო უსაფრთხოების ხაჯთაღრიცხვა

სკოლის მიწერილობა რესურსცენტთან სამინისტოსთან შუამდგომლობის შესახებ

◦ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.


◦ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა


3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტიგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სარგის საჯარო სკოლა არის რეაბილიტირებული, სკოლა არის სამსართულიანი და გათვლილია 180 მოსწავლეზე. სამივე სართულზე მიმდინარეობს სასწავლო პროცესი. სკოლას აქვს ცენტრალური გათბობის სისტემა. სკოლის შენობაში არის სპორტდარბაზი შიდა და გარე მოედნით, კომპიუტერული და ზუსტი და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი, რესურს ოთახი, ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია მასწავლებლის მაგიდით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



მოსწავლის ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფით, საგანმანათლებლო რესურსებით. სკოლის ბიბლიოთეკა აღჭურვილია სასკოლო, დამხმარე, მხატვრული ლიტერატურით. სკოლის ბიბლიოთეკართან ინახება მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელსა და სკოლას შორის გაფორმებული წიგნების მიღება-ჩაბარების აქტები. ზუსტი და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები არ არის აღჭურვილი გამწოვითა და სადემონსტრაციო მაგიდებით, ლაბორატორიებში არ არის წყალი. თუმცა, მიუხედავად გამწოვის არ ქონისა ლაბორატორიას აქვს აივანზე გასასვლელი, ცდები ტარდება გარე სივრცეში და აგრეთვე, ოთახი ნიავედება შესაბამისად. თუმცა, ქიმიის ლაბორატორიაში რეაქტივები ინახება დახურულ სივრცეში, რომელიც არ ნიავედება. ლაბორატორიები და რესურს ოთახი არის მესამე სართულზე. სკოლას არ აქვს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რადგან სკოლა არ არის გადაცემული მფლობელობაში. აგრეთვე, შენობა არ არის შესული ექსპლუატაციაში.

დასკვნის პროექტის პასუხად სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა გაწერილი რეალისტური ვადებით, რომლის თანახმად 31.08.2024-მდე პერიოდში უზრუნველყოფს ამონაწერს საჯარო რეესტრიდან, რომლითაც დადასტურდება მფლობელობა/საკუთრება. სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის ერთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ 31.08.2023-31.08.2024 ვადებში მოიპოვოს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლითაც დადასტურდება მფლობელობა/საკუთრება ინდიკატორი შეფასდა მეტწილი შესაბამისობით.

2. სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიუს, ვიზუალური დათვალიერებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით, კერძოდ, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების დებულება, ბიბლიოთეკის დებულება, კომპიუტერული ლაბორატორიის დებულებით დასტურდება, რომ დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სამასწავლებლო, სპორტული დარბაზი, სპორტული მოედანი, რესურსოთახი, სველი წერტილები და მატერიალური რესურსები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლის ეზოში გამოყოფილია სივრცე მოსწავლეთა პრაქტიკული საქმიანობისთვის, მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან კომუნიკაციისთვის. თუმცა, ბიბლიოთეკას არ აქვს საბიბლიოთეკო წესით დამუშავებული სასწავლო რესურსების კატალოგი. დასკვნის პროექტის პასუხად სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა გაწერილი რეალისტური ვადებით, რომლის თანახმად 31.12.2023-მდე პერიოდში უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო წესით დამუშავებული სასწავლო რესურსების კატალოგის შექმნას სკოლას მიეცა რეკომენდაცია 16.10.202-31.10.2023 ვადებში შექმნას საბიბლიოთეკო წესით დამუშავებული სასწავლო რესურსების კატალოგი. ინდიკატორი შეფასდა მეტწილი შესაბამისობით.

3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს; სკოლა არის რეაბილიტირებული, აღჭურვილი პანდუსებით, ლიფტით, ადაფტირებული საპირ ფარეშოთი, რესურს ოთახით. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას; სამივე სართლზე არის ელექტროენერგია, ინტერნეტი, გათბობა. საერთო სივრცედ გამოიყენება სკოლის ფოიე, ბიბლიოთეკა, სპორტდარბაზი, სააქტო დარბაზი, სკოლის ეზო. სკოლის ფოიეში, სააქტო დარბაზსა და ბიბლიოთეკაში იმართება სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები, აქტივობები. სკოლაში არსებული ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მოსწავლეებს და სასკოლო საზოგადოებას განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

5. სკოლას გააჩნია კურკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები, კერძოდ გრიფინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები, საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსები, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება. (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.), კლასგარეშე ლიტერატურა, კომპიუტერები, პროექტორები, პრინტერები, ბიბლიოთეკა, სპორტული მოედანი, რესურს ოთახი, კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. აღნიშნულ სივრცეებში განთავსებულია კურკულუმით განსაზღვრული და კომპლექსური დავალების განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო რესურსი, სხვადასხვა თვალსაჩინოება, სახატავი მასალები, სპორტული ინვენტარი: ბურთები, ლეიბები, , ჭადრაკის დაფები. სკოლა სამინისტროს მიერ გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოების ჩამონათვალიდან არჩევანს აკეთებს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის საშუალებით შეთავაზებული ავტორ-გამომცემლობების სახელმძღვანელოებიდან. სახელმძღვანელოები ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისა და მასწავლებლისთვის. ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.


ლაბორატორიების დებულებები

N762 მიწერილობა

სახანძრო უსაფრთხოების ხაჯთაღრიცხვა

სკოლის მიწერილობა რესურსცენტთან სამინისტროსთან შუამდგომლობის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას, რომელიც დასტურდება ვიზიტის დროს ინფორმაციულ ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის დათვალიერებით. სკოლას აქვს 15 პერსონალური კომპიუტერი, 5 ლეპტოპი, 3 პროექტორი, 1 პრინტერი. სკოლაში ინტერნეტი არის უწყვეტ რეჟიმში. აქედან გამომდინარე, სკოლის პედაგოგებს შეუფერხებლად შეუძლიათ ინტერნეტ რესურსების გამოყენება. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. გეგუაძე

2. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლას აქვს შემუშავებული კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი, რომელიც გამოკრულია ლაბორატორიაში. ვიზიტის დროს დათვალიერების შედეგად დასტურდება, რომ სკოლას აქვს გამართული კომპიუტერული ლაბორატორია, სკოლას აქვს საკმარისი რაოდენობის ტექნიკა საგაკვეთილო პროცესის შეუფერხებლად განსახორციელებლად. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო რესურსებით სარგებლობის წესი


3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სარფის საჯარო სკოლაში მოქმედებს სკოლის დირექტორის N-01-02/09 ბრძანების დამტკიცებული საქმისწარმოების წესი. სკოლა ახდენს დოკუმენტბრუნვის ორგანიზებას, შემოსული და გასული დოკუმენტების აღრიცხვას, ბრძანებების მომზადებას, სარეგისტრაციო ჟურნალების წარმოებას და ა. შ. საქმისწარმოებასთან დაკავშირებულ ძირეულ საქმიანობას სკოლაში ახორციელებს საქმისწარმოებელი, სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა Eflow -ს საშუალებით, სკოლაში ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით. პირად საქმეებში შენახულია სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრული დოკუმენტაცია: დასაქმებულის პირადი განაცხადი, პირადობის მოწმობის ასლი, ნოტარიულად დამოწმებული დიპლომის ასლი, ნასამართლეობის, ნარკოლოგიური შემოწმების, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები. სტატუსის შესაბამისი სერტიფიკატი (პედაგოგის შემთხვევაში).

სკოლაში იწარმოება ბუღალტრული დოკუმენტაცია, რომელიც აკინძულია კანონმდებლობით დადგენილი წესით. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

2. სკოლა მართვისათვის იყენებს სკოლის ელექტრონულ დოკუმენტბრუნვის სისტემას: eflow, eschool ასევე სკოლის ელექტრონულ ფოსტას. სამუშაო შეხვედრები იმართება Teams-ის პლატფორმის გამოყენებით, ამ პლატფორმას იყენებენ კლასის დამრიგებლები შეხვედრებისთვის. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სკოლა ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა ესქულში ასახავს მოსწავლეთა რეგისტრაციას, მობილობის პროცესს, პირველკლასელთა ლიმიტს, კლასიდან კლასში გადაყვანისა და საფეხურების დონის დამღევის პროცედურას, განრიგისა და კლასების შექმნა/რედაქტირებას, საგნების განაწილებას, სახელმძღვანელოების ვარგისიანობის შეფასება/შერჩევას, გრიფირებული სახელმძღვანელოების არჩევას, მოსწავლეების მობილობის პროცესის წარმართვას და ა.შ.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

4. სკოლა დროულად და დაუყოვნებლივ აწვდის ანგარიშებსა თუ მოთხოვნილ ინფორმაციას საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს, თანამშრომლობს მათთან და ამისთვის იყენებს ელექტრონულ საშუალებებს. დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრამდე ანგარიშს წარუდგენს სკოლის სამეურვეო საბჭოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია


დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საქმისწარმოების წესი

დირექტორის ანგარიში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა- eflow

ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები


3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას სოციალური ქსელში შექმნილი დახურული ჯგუფების მეშვეობით, სკოლას აქვს განათლების სამინისტროს მიერ შექმნილი ვებ გვერდი, თუმცა ამ ეტაპზე ვერ ხორციელდება საიტით სარგებლობა. ვიზიტზე ინტერვიუებისას ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ დირექტორის N-01-02/12

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ბრძანებით განსაზღვრულია სკოლის ვებგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი და საიტის ამოქმედებიდანვე სკოლა განახორციელებს შესაბამის აქტივობებს. ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

2. სკოლა არ ავრცელებს შეცდომაში შემყვან ინფორმაციას. სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის სანდო საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ამ ინფორმაციის გადამოწმება და დადასტურება. სკოლის მიერ მისი საქმიანობის შესახებ, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის გაზიარება ხდება სოციალური ქსელის მეშვეობით, მშობელთა და მოსწავლეთა კრებებზე. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.

3. სკოლა საკუთარი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად იყენებს სოციალურ ქსელსა და დახურულ ჯგუფებს. ვიზიტის პერიოდში პედაგოგებთან ინტერვიუებისას აღნიშნეს, რომ აქ ხდება სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის განთავსება განხორციელებული თუ განსახორციელებელი აქტივობების, სიახლეების, ღონისძიებების თაობაზე. ამ სივრცეში აზიარებს სკოლა საგანმანათლებლო სტრუქტურებიდან შემოსულ ინფორმაციას, სისტემაში მიმდინარე ცვლილებებს, საგანმანათლებლო პროგრამებზე სხვადასხვა შემოთავაზებებს და ა.შ. სკოლა საკუთარი საქმიანობის შესახებ უკუკავშირის იღებს მშობლებისგან, მოსწავლეებისგან. სკოლას აქვს აქტივობა: ფოიეში, თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ანონიმური ყუთი, სადაც მოსწავლეები, მშობლები ათავსებენ საკუთარ დამოკიდებულებას სხვადასხვა საკითხების შესახებ. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

4. სკოლას აქვს სამინისტროს მიერ შექმნილი ვებგვერდი, რომელზეც მოცემული ინფორმაცია არის ქართულ ენაზე. ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

5. ვიზიტის დროს სკოლის ვებგვერდი არ მოიცავდა ინდიკატორით გათვალისწინებულ საკითხებს.

და სკვნის პროექტის პასუხად სკოლა მწაქრმა დაგინა შესაბამისობის გეგმა გაწერილირიე ალისტური ვადებით, რომლისთანახმად 31.12.2023-მდე პერიოდში ვებგვერდზე განათავსებს სტანდარტის შესაბამის ინფორმაციას: სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამების სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხის პროცედურები და მისანიჭებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის ერთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ 16.08.2022-31.10.2023 ვადებში ვებგვერდზე განათავსოს სტანდარტის შესაბამის ინფორმაცია სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამების სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხის პროცედურები და მისანიჭებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.



ინდიკატორი შეფასდა მეტწილი შესაბამისობით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

Facebook გვერდი.

სკოლის-საიტის-ადმინისტრატორის-განსაზღვრის-შესახებ

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. გეგუაძე



1. სკოლის ბიუჯეტი განსაზღვრულია ვაუჩერული დაფინანსებიდან. სკოლის ბიუჯეტი სამეურვეო საბჭოს მიერაა დამტკიცებული. ბუღალტერთან და დირექტორთან გასაუბრების შედეგად ექსპერტებმა დაადგინეს, რომ სკოლის ფინანსური რესურსები ხელს უწყობს სკოლის სამოქმედო გეგმის განხორციელებას. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება. სკოლამ წარმოადგინა 2023 წლის ბიუჯეტი, 2024 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი. ბიუჯეტის დაგეგმვისას გათვალისწინებულია სავარაუდო შემოსავლები, მომდევნო წლის პრიორიტეტები და სავარაუდო ხარჯები. სკოლის ფინანსური მართვა ხორციელდება საქართველოს კანონით ბიუჯეტის შესახებ. ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.
2. სკოლაში თანხების განკარგვა ხდება სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით. ბიუჯეტის კორექტირებისთვის სკოლა მიმართავს სამეურვეო საბჭოს. ყოველი წლის 10 დეკემბერს ხდება წლიური ფინანსური ანგარიშის წარდგენა სამეურვეო საბჭოსთან. სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი, სადაც განხილულია 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების საკითხი. სკოლის დირექტორი პედსაბჭოს თავმჯდომარის, სასკოლო საგნობრივი კათედრების, სკოლის დირექციის, მათ შორის ბურალტრის და ადმინისტრაციის ჩართულობით შეიმუშავებს ფინანსურ და სასწავლო პროცესის ანგარიშს, რომელსაც 10 დეკემბრამდე სკოლის სამეურვეო საბჭოს წარუდგენს. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საპროგნოზო ბიუჯეტი

სამეურვეო საბჭოს ოქმები-10 დეკემბრის ანგარიში

2023 წლის შესყიდვები

ბრძანება შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა


4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ვიზიტის პერიოდში სკოლის პერსონალთან გასაუბრების შემდგომ გამოიკვეთა, რომ სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებებისა და გარანტიების უზრუნველყოფა. სკოლის შინაგანაწესი შექმნილი მოსწავლეთა თვითმმართველობის თანამონაწილეობით უზრუნველყოფს უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნას. სკოლაში აქტიურად მუშაობს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომლის შემადგენლობა აირჩა ფარული კენჭისყრით. აღნიშნული სტრუქტურული ერთეულის ფუნქცია-მოვალეობების მიხედვით მოსწავლეთა თვითმმართველობა აქტიურად არის ჩართული სასკოლო ცხოვრებაში, ატარებს სხდომებს, რომელსაც აფორმებს შესაბამისი ოქმებით. სკოლას შემუშავებული აქვს დირექტორის N 01-02/43 ბრძანებით მოსწავლის კანონიერი უფლებების დაცვის შესახებ დოკუმენტი. დოკუმენტი მოიცავს ინფორმაციას მოსწავლის, მშობლის /კანონიერი წარმომადგენლის, სკოლის პერსონალის უფლებების შესახებ. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა განცხადების/საჩივრის განხილვის წესი. კლასის დამრიგებლები მოსწავლეთა კრებაზე განიხილავენ მოსწავლეთა



უფლება-მოვალეობებს. სკოლა ქმნის ინკლუზიურ გარემოს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისთვის სკოლა აღჭურვილია პანდუსებით, ლიფტით, ადაპტირებული საპირფარეშოთი. მოსწავლეთა უფლებების აღიარება გამოიხატება იმითაც, რომ სკოლის მხარდაჭერით სკოლაში შექმნილია სასკოლო კლუბები. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან. კლასის დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში აცნობენ მოსწავლეებსა და მშობლებს შინაგანაწესით გათვალისწინებულ რეგულაციებს. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი. სკოლის შინაგანაწესი, ბავშვთა უფლებათა კოდექსი განთავსებულია საინფორმაციო დაფაზე თვალსაჩინო ადგილას და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის. შინაგანაწესით განსაზღვრულია სკოლაში დასაქმებული პირებისთვის და მოსწავლეებისთვის უფლებების დაცვის რეგულაციები, რომელიც გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის.

მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გათვალისწინებულია მოსწავლის მშობლის კანონიერი წარმომადგენლის ხელშეკრულებებშიც. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

3. სკოლას წარმოდგენილი აქვს ხელშეკრულებები მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების, სახელმძღვანელოების და დამხმარე ლიტერატურის უსასყიდლოდ აუქციონის გარეშე დროებით სარგებლობის გადაცემის შესახებ, რომელშიც განსაზღვრულია მხარეთა უფლება-მოვალეობები, დავები და მათი გადაწყვეტის წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ცვლილებების შეტანა, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები, მიღება ჩაბარების აქტი და სახელმძღვანელოს მოვლა-პატრონობის შეფასების კრიტერიუმები. სკოლა ყოველწლიურად იღებს წერილობით თანხმობას მშობლისგან/კანონიერი წარმომადგენლის მოსწავლის ფოტომასალის გაზიარების შესახებ. სკოლას არ აქვს მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ინდივიდუალურად გაფორმებული კანონმდებლობის შეაბამისი ხელშეკრულება. ვიზიტის პერიოდში ინტერვიუებისას სკოლის დირექციამ აღნიშნა, რომ სკოლა მშობლეთა კრებაზე აცნობდა ყველა მშობელს ხელშეკრულების პირობებს და ხელს აწერინებდა არა ინდივიდუალურად, არამედ ყველა მშობელს ერთ დოკუმენტზე.

დასკვნის პროექტის პასუხად სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა რომლის მიხედვითაც სკოლამ 15.09.2023 გააფორმა და წარმოადგინა მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. აქედან გამომდინარე, ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.



დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შინაგანაწესი

მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი.

მშობელთა კრების ოქმი

მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება ხელშეკრულება.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დამღევს, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დამღევს, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დამღევს, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დირექტორის N01-02/38 ბრძანებით დამტკიცებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დამღევს, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. სკოლის შინაგანაწესში განსაზღვრულია, როგორ და რა დოკუმენტების საფუძველზე ხდება სკოლაში პირველ კლასში მოსწავლის ჩარიცხვა, ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განსაზღვრულია რა დოკუმენტების საფუძველზე ხდება მოსწავლის სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმოსვლა, მობილობის დროს მოსწავლის მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის განაცხადის საფუძველზე გამოითხოვება პირადი საქმე, რომლის მიღების შემდეგ სკოლა გამოსცემს ბრძანებას მოსწავლის ჩარიცხვის ან ამორიცხვის შესახებ. სკოლაში ჩარიცხული ყველა მოსწავლეზე იხსნება პირადი საქმე, რომელშიც განათავსებულია შინაგანაწესით განსაზღვრული დოკუმენტები. სსმ მოსწავლის მობილობით ჩარიცხვის შემთხვევაში, აუცილებელია შესაბამისი მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა. მოსწავლის სტატუსის შეჩერება ხდება მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების, გაცდენების ან კლასის დამრიგებლის სამსახურეობრივი ბარათის წარმოდგენის საფუძველზე სკოლის მიერ გამოცემული ბრძანებით. სასკოლო სასწავლო გეგმით რეგულირდება საფეხურის დამლევის მექანიზმები. როგორც დირექტორმა აღნიშნა, : მოსწავლის პირველ კლასში ჩარიცხვის ვადები და წესი ყოველწლიურად ზიარდება სკოლის ფეისბუქ გვერდზე. დაინტერესებული მშობელი როდესაც წინასწარ მიმართავს სკოლის დირექციას ინფორმაციის მისაღებად, სკოლის მხრიდან იღებს მკაფიო ინსტრუქციებს ჩარიცხვის ვადებისა და წესების შესახებ. მობილობის შემთხვევაში როდესაც მშობელი მიმართავს სკოლას განცხადებით, დეტალურად განემარტება სიტყვიერად მობილობის წესებისა და პროცედურების შესახებ. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

2. ვიზიტის პერიოდში სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების (ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერების ბრძანებები, პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი) მიხედვით სკოლა იცავს ჩარიცხვის, საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის მექანიზმებს. ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

3. სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული პირების ინფორმირებულობას სასწავლო წლის დასაწყისშივე. მშობელთა კრებებზე კლასის დამრიგებლები აცნობენ მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებს სკოლის შინაგანაწესსა და სასკოლო სასწავლო გეგმას, ცვლილებების არსებობის შემთხვევაში, ხუთი დღის ვადაში აწვდის ინფორმაციას დამრიგებლის დახმარებით. მეორე უცხო ენის შერჩევა ყოველწლიურად ხდება მშობელთა კრებებზე, მათი სურვილის შესაბამისად. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. სკოლა ინფორმაციას ავრცელებს სკოლის ფეისბუქ გვერდზე და დახურულ ჯგუფებში, რომელსაც აკონტროლებს სკოლის დირექტორი და მოადგილე. გავრცელებული ინფორმაცია ყოველთვის ემსახურება მოსწავლეთა სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. სკოლა ცდილობს, გავრცელებული ინფორმაცია იყოს ობიექტური და სწორი. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო სასწავლო გეგმა

მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმი

შინაგანაწესი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება


☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი. სკოლის დირექტორის N 01-02/35 ბრძანებით დამტკიცებული მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. დოკუმენტი განსაზღვრავს პირველკლასელთა ადაპტაციას, სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციას, მობილობით გადმოსული მოსწავლეების ადაპტაციას. სასწავლო პროცესის დაწყებამდე ან პირველივე დღეს ხ დე ბ ა სასკოლო გარემოს დათვალიერება, გაცნობა, მოსწავლისათვის საჭირო საორგანიზაციო საკითხების მიწოდება.იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე ვერ ახერხებს წარმატებით ადაპტაციას, სწორედ კლასის დამრიგებელი წახალისებს მოსწავლეებს, დაამყარონ კომუნიკაცია კლასის ახალ წევრთან. ამ დროს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ჯგუფურ დავალებებს, თამაშებს და სხვა ისეთ აქტივობებს, სადაც წარმატების მისაღწევად აუცილებელია კოორდინირებული ქმედებები და ჯგუფის წევრებს შორის კომუნიკაცია. ადაპტაციის პროცესში ჩართული არიან მშობლებიც. დოკუმენტი აგრეთვე ითვალისწინებს დეზადაპტაციის პროცესის დროს განსახორციელებელ ღონისძიებებს. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. სასწავლო პროცესის დაწყებამდე ან პირველივე დღეს ეწყობა სასკოლო გარემოს დათვალიერება, გაცნობა, მოსწავლისათვის საჭირო საორგანიზაციო საკითხების მიწოდება. პირველკლასელის დამრიგებლები შესაბამისად ალამაზებენ საკლასო ოთახს, ახალი სახელმძღვანელოების შეთავაზებით, სასკოლო ნოუტბუკების დახვედრებით, სოციალურად მშვიდი გარემოს შექმნით. სკოლის ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას, საკლასო ოთახები არის ნათელი და აღჭურვილი საინტერესო სასწავლო რესურსებით, სკოლის ეზო არის მოწესრიგებული და უსაფრთხო, სსსმ მოსწავლეებისთვის არის პანდუსები, ლიფტი, ადაპტირებული საპირფარეშო, რესურს ოთახი. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.


ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. გ. გ. გ.

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. პედაგოგებისგან მოსწავლეები იღებენ განმავითარებელ უკუკავშირს. აქტიურად ხორციელდება სხვადასხვა პროექტები და ღონისძიებები, სკოლას აქვს საკლებო მუშაობის გამოცდილება შესაბამისი დებულებით, იგეგმება და ტარდება ინტეგრირებული გაკვეთილები. საგნობრივი კათედრები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან სწავლა-სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად. საჭიროებიდან გამომდინარე მოსწავლეებს უტარდებათ დამატებითი მეცადინეოები სხვადასხვა საგნებში. სსსმ მოსწავლეებთან მუშაობა ხორციელდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სპეციალური პედაგოგის აქტიური თანამონაწილეობით. ხორციელდება კომპლექსური დავალებები, მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად დაგეგმილი პროექტები. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. მოსწავლეებს სკოლა ოლიმპიადების, შეჯიბრებების შესახებ ინფორმაციას აწვდის გონივრულ ვადაში და უტარებს საკონსულტაციო შეხვედრებს. ექსტერნისა და საშემოდგომო გამოცდის შესახებ ინფორმაცია მოსწავლეს მიეწოდება გონივრულ ვადაში. სკოლის მოსწავლეებს შეუძლიათ გაკვეთილების შემდგომ ისარგებლონ ბიბლიოთეკით, კომპიუტერული ლაბორატორიით ადმინისტრაციის მეთვალყურეობის ქვეშ. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას, რომელიც დასტურდება ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი განხორციელებული და დაგეგმილი მრავალფეროვანი არაფორმალური აქტივობებით: კლუბებით, ექსკურსიებით, კონფერენციებით, პროექტებით, ღონისძიებებით, მოსწავლეთა მიერ შექმნილი პროდუქტით. მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი ეკოლოგიასთან დაკავშირებულ აქტივობებში. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას. განხორციელებული აქტივობებისა და ღონისძიებების ანალიზის საფუძველზე სკოლა ცდილობს გააუმჯობესოს სწავლე-სწავლების ხარისხი. სკოლის ფოიეთი განთავსებულია სურვილების ყუთი, სადაც მოსწავლეები საკუთარ სურვილებსა და მოსაზრებებს ათავსებენ. სკოლა სისტემატურად განიხილავს მოთავსებულ მოსაზრებებს და ცდილობს მყისიერი რეაგირება მოასხდინოს მასზე. მშობელთა კრებებზე მშობლები გამოხატავენ საკუთარ დამოკიდებულებას სხვადასხვა საკითხის მიმართ სადაც სკოლა ითვალისწინებს მომავალი აქტივობების დასაგეგმად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო პროექტები

მოსწავლეთა ადაპტაციის წესი

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება


1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის.

სარფის საჯარო სკოლა 2019 წლიდან თანამშრომლობს სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღა“-სთან. გაფორმებულია მემორანდუმი, რომლის საგანს წარმოადგენს მოსწავლეებში „პროფესიული უნარების განვითარების კურსს სარესტორნო მომსახურებაში“. სსიპ კოლეჯმა შემოიტანა სკოლაში საჭირო ინვენტარი, შეირჩა 15 მოსწავლე მე-8 და მე-9 კლასის მოსწავლეებს შორის. პროექტის ფარგლებში, კურსის სწავლებას ახორციელებდა სპეციალისტი სარესტორნო მომსახურებაში, მას ეხმარებოდა სკოლაში შერჩეული დამხმარე მასწავლებელი, რომელთანაც კოლეჯმა გააფორმა შრომითი ხელშეკრულება. პროექტის ფარგლებში, მოსწავლეებს ქონდათ გასვლითი ექსკურსიები სხვადასხვა წამყვან რესტორნებში, სადაც ცნობილმა შეფ-მზარეულებმა ჩაუტარეს მასტერ-კლასები. მოინახულეს პროფესიული კოლეჯი „ახალი ტალღა“, ექსკურსიას გიდობა გაუწია სასწავლებლის დირექტორმა. ბავშვები გაეცნენ არამარტო სარესტორნო მომსახურებას, არამედ სხვა სპეციალობებსაც, რომელსაც კოლეჯი სთავაზობს კურსანტებს. პროექტის ხანგრძლივობა არის სამი თვე. კურსის გავლის შემდეგ გადაეცათ სერთიფიკატები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. სკოლა საფეხურების შესაბამისად მშობლებს და მოსწავლეებს აწვდის ყველა ინფორმაციას პროფესიული და უმაღლესი სასწავლების პროგრამების, ფაკულტეტების და სპეციალობების შესახებ, რის საფუძველზეც მოსწავლეებს და მათ მშობლებს შეუძლიათ გაეცნონ სხვადასხვა სასწავლებლების შეთავაზებებს და გააკეთონ შესაბამისი არჩევანი. კერძოდ, მოსწავლეებს ჰქონდათ გამოცდილება დასწრებოდნენ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ღია კარის დღეს. სკოლას მემორანდუმი აქვს გაფორმებული სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღა“-სთან. მემორანდუმის ფარგლებში სკოლის მოსწავლეებს მიეწოდებათ ინფორმაცია კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

3. ვიზიტის განმავლობაში ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. მოსწავლეებისგან და მშობლებისგან მიღებული ზეპირსიტყვიერი უკუკავშირის ანალიზით სკოლას აქვს გამოცდილება გაიზიაროს მიღებული უკუკავშირი და შესაბამისად განახორციელოს მომავალში დაგეგმილი აქტივობები. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):


კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მემორანდუმი

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორის N01-02/33 ბრძანების დამტკიცებულია სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები და სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი. სკოლას, დირექტორის ბრძანების საფუძველზე ჩამოყალიბებული აქვს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით ისე ჯგუფი, რომელიც მონაწილეობს ისე-ს შიდა მონიტორინგში. ისე ჯგუფი იკრიბება წელიწადში რამდენჯერმე მოსწავლეთა მიღწევების და სირთულეების განსახილველად. შესაბამის რეკომენდაციებს აძლევენ პედაგოგებს. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში სპეციალური მასწავლებელი შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას, სადაც გაწერილია განსახორციელებელი აქტივობები, მათი შესრულების ვადები. შემუშავებული ისე ყველა საგანში, შესაბამისი გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნებით. სპეციალური მასწავლებლები აქტიურად ახორციელებენ ყველა საჭირო ღონისძიებას. ამ ეტაპისთვის შემუშავებული და დაცული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის ყველა მექანიზმი. სკოლას აქვს შესაბამისი რესურსებით აღჭურვილი რესურს ოთახი, სადაც სსსმ მოსწავლეებს გეგმის მიხედვით უტარდებათ გაკვეთლები. სპეციალური მასწავლებელი აქტიურად არის ჩართული საგაკვეთილო პროცესში. ყოველი სემესტრის ბოლოს სპეციალური მასწავლებელი აკეთებს ანგარიშს მოსწავლეთა მიღწევებისა და სირთულეების შესახებ. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

2. სასკოლო საზოგადოება აქტიურად არის ჩართული სსსმ მოსწავლის წინსვლასა და განვითარებაში. ამ მიზნით შექმნილია ინდივიდუალური გეგმები, სპეციალური მასწავლებლის სამოქმედო გეგმა. სისტემატურად ხორციელდება მოსწავლეებზე დაკვირვება ისე ჯგუფის მიერ, რომელიც იკრიბება წელიწადში რამდენჯერმე მოსწავლეთა მიღწევებისა და სირთულეების განსახილველად. მასწავლებლები თანამშრომლობენ სპეციალურ მასწავლებელთან სწავლა-სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.


სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები და მექანიზმები

ისე ჯგუფის შექმნის ბრძანება

ისდ საგნების მიხედვით

სპეციალური მასწავლებლის ანგარიში/სამოქმედო გეგმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებელით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სარფის საჯარო სკოლა დამატებით სთავაზობს მოსწავლეებს ტრანსპორტით უზრუნველყოფას. განათლების სამინისტროსა და სატრანსპორტო კომპანიას შორის შეთანხმების საფუძველზე გონიოდან, კვარიათიდან, კალენდერედან ხორციელდება მოსწავლეების სკოლაში მოყვანა-წყვანა. სკოლა აწარმოებს ტაბელს, რომელიც ასახავს მარშრუტს, გზებისა და დღების რაოდენობას. სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა აღნიშნა, მომავალში აპირებს მოსწავლეებისთვის მუსიკის წრის შეთავაზებას. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
2. სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს სატრანსპორტო მომსახურებას. მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით..ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

3. სკოლის წარმომადგენლებმა ვიზიტის დროს აღნიშნეს, რომ მომავალში დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების შეთავაზების შემთხვევაში მომსახურება განხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და გაითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ტაბელი

სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.


☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. გეგუაძე



სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. დავითაძე



II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი-დაწყებითი საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, მოწოდებული დოკუმენტაცია და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგები იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. სკოლის თითოეულ პედაგოგს გავლილი აქვს შესაბამის საგნებში ქოუჩინგი, აქვთ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით მუშაობის მიმდებლობა, იცნობენ კურიკულუმის სტანდარტის მოთხოვნებს, იციან ტერმინები და მეტ-ნაკლებად ერკვევიან ტერმინებს შორის მიმართებებში, ითავისებენ საკუთარ პასუხისმგებლობას ამ მიმართულებით და ერთიანი ძალებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:


თ. გეგუაძე



კათედრებზე იხილავენ ყველა იმ საჭირობო საკითხს, რაც ახლავს ამ პროცესებს, აქვთ აქტიური კომუნიკაცია მშობლებთან, მოსწავლეებთან, ზოგადად სასკოლო საზოგადოებასთან და შეთანხმებულად მუშაობენ, იზიარებენ ერთმანეთის გამოცდილებას, მსჯელობენ მოსწავლეთა ძლიერ და სუსტ მხარეებზე და შესაბამისად კურიკულუმის შედგენის დროს ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, აქედან გამომდინარე არჩევენ აქტივობებს, რაც მოსწავლეებისათვის ადვილად დაძლეადი და განხორციელებადი იქნება; იყენებენ კომპლექსური დავალებების ბანკს და ათანხმებენ კათედრაზე, ასევე ხდება კომპლექსური დავალებების აქტივობების დიფერენცირება; მშობლების და მოსწავლეების ინტერესების დადგენა მოხდა გამოკითხვის მეთოდით; მათი უკუკავშირების საფუძველზე დაიგეგმა რიგი აქტივობები. საბუნებისმეტყველო კათედრაზე მოხდა კურიკულუმის მეთოდის შემუშავება. სკოლას ჯერ არ განხორციელებია კომპლექსური დავალებები, ვინაიდან გვიან გაიარეს ქოუჩინგი, ამ ეტაპზე მათ შეძლეს კურიკულუმის ჩარჩო-ცხრილის შემუშავება ნაწილობრივ, უახლოეს მომავალში იგეგმება კურიკულუმის განვითარებაზე მუშაობა და მატრიცების შექმნა; სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისას ეყრდნობიან გრიფირებულ სახელმძღვანელოს, რომელიც პასუხობს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, მომავალი სასწავლო წლიდან გეგმავენ მკაფიოდ გაწერონ სასკოლო საზოგადოების ფუნქციები და მოვალეობები კურიკულუმის შემუშავების, დანერგვისა და განხორციელების მიმართულებით; ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, ასევე სასკოლო თემის ინტერესები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები, ითვალისწინებენ მოსწავლეთა ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს, შეთავაზებული კომპლექსური დავალებები წარმოადგენს პროექტებზე დაფუძნებული ტიპის კომპლექსურ დავალებებს, სადაც ძირითადი აქცენტი კეთდება თვითშეფასებაზე და ურთიერთშეფასებაზე, სამომავლოდ გეგმავენ შეფასების ინსტრუმენტის გამოყენებას, რაც შეეხება მშობელთა ინტერესების გათვალისწინებას, მათ სასწავლო წლის დასაწყისში ეცნობებათ თითოეულ კლასში განსახორციელებელი დავალებების შესახებ წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, მოსწავლეებს გადაეგზავნათ კომპლექსური დავალების ბარათები. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
3. კურიკულუმში შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების მოთხოვნების შესაბამისად, საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია შესაბამისი საგნის ქოუჩებთან ერთად მათი კონსულტაციის და უკუკავშირების საფუძველზე და დაწყებითი საფეხურის კათედრის წევრებთან ურთიერთთანამშრომლობით; მასში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, საჭიროებები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. ასევე კათედრა ახალ სასწავლო წელს გეგმავს სასკოლო საზოგადოების სრულფასოვან და მეტად აქტიურ ჩართვას კურიკულუმის შემუშავების პროცესში. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
4. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში კათედრა გაეცნო ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ მომზადებულ კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური კურიკულუმის ჩარჩოს. აღნიშნული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





კურიკულუმის ჩარჩო განხილულ იქნა კათედრაზე, რომლის მიხედვითაც შემუშავდა ზემოთ დასახელებული საგნობრივი კურიკულუმები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია

დაწყებითი კათედრის ოქმები

სადამრიგებლო პროგრამები

მშობელთა კრების ოქმები

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდოლოგიურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



1. სკოლის თვითშეფასების კითხვარის, წარმოდგენილი კურიკულუმებისა და მასწავლებლებთან ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი ყველა საგნის მიმართულებით წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას. კურიკულუმში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე (ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სტანდარტებში წარმოდგენილი სამიზნე ცნებების სახით). კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური ბუნების დავალებების იდეები და მათთან დაკავშირებული კონტექსტ მაგალითები, მაგ. ჩვენი საქართველოს კურიკულუმში ასახული კომპლექსური დავალების იდეით მოსწავლემ უნდა შექმნას ბუკლეტი, სადაც წარმოდგენილი იქნება ვაშლოვანის დაცული ტერიტორია, მისი მნიშვნელობა ტურიზმის განვითარებისათვის, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ინტერესის და ცნობისმოყვარეობის აღძვრას, შემოქმედებითობის უნარის განვითარებას და მოსწავლეს შეუქმნის ავტონომიურობის განცდას, მას დასჭირდება ძალისხმევა გაიღოს რაღაცა შედეგს მიაღწიოს, რაც გამოიწვევს მოსწავლეთა ემოციურ კმაყოფილებას. სკოლას ასევე აქვს გამოცდილება ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენის და კომპლექსური ბუნების დავალებების ადაპტირების, რომელიც მოსწავლეთა საჭიროებებს შეესაბამება.

სკოლის მათემატიკის დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი ძირითადად სასწავლო პროცესზე ორიენტირებული პროგრამაა, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ ხდება მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირება ამსაგანში, წარმოდგენილია შესაბამისი თემები და საკითხები. კურიკულუმების დიზაინი აგებული იყოს იმგვარად, რომ მარტივად ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე: მათემატიკური მოდელი, კანონზომიერება და ლოგიკა. ასევე სკოლას მიეცა რჩევა დაამატონ მე-3 მე-6 კლასში ელ. რესურსებს, Geogebra, Mathigon, WolframAlpha-ს პლატფორმებიდან. ეს რესურსები უფასოა და მარტივად გამოსაყენებელი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ დოკუმენტებში თემების და შესაბამისი შუალედური მიზნების დასახელება არ ხდება ფორმალურად, ეს მასწავლებლებთან გასაუბრების დროსაც დაზუსტდა. პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ ძირითადად იყენებენ სანიმუშო მატრიცებს math.ge-დან, ამ მატრიცის ბოლოში კი ინტეგრირებულია ე. წ. პოლიას მეთოდით შემუშავებული კითხვები, რომლიც ეხმარება მოსწავლეს გაიაზროს რა გამოუვიდა კარგად, რატომ, რა იყოს ის ცოდნა და გამოცდილება, რამაც წარმატება მოუტანა, რავერ შეძლო, რას შეიძლებოდა ხელი შეეშალა და ა. შ. ეს კი მიუთითებს, რომ კათედრის წევრები იყენებენ მეტაკოგნაციის განვითარების სტრატეგიებს. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.



2. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებლებთან ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და აგებულია სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემების მიხედვით, რომლის ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება და შედეგი. თითოეული საგნის კურიკულუმში ასახული საგნობრივი საკითხები, რესურსები, კონტექსტ-მაგალითები და კომპლექსური დავალებები იძლევა საფუძველს გააქტიურდეს გლობალური ფუნქციური უნარების (6 უნარი) და მაკრო ცნებები, ასეთი ტიპის დავალებები მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს ყველა ამ უნარის არა მხოლოდ აქტივირებას, არამედ წახალისებს მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას. ასევე სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები მიემართება მაკრო ცნებებსა და ფუნქციურ-კომპონენტურ უნარებს. სკოლის დაწყებითი საფეხურის წლიური კურიკულუმები დაგეგმილია მათემატიკის საგნობრივი სტანდარტისა და გრიფირებული სახელმძღვანელოების მიხედვით, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სასწავლო პროცესი დაგეგმილია სავალდებულო თემებით, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი. I-VI კლასებში ჩანს თუ რა საგნობრივ საკითხებს, კომპლექსურ დავალებებს, თემებს, ძირითად რესურსებს, შეფასების ინსტრუმენტებს სთავაზობს სკოლა საკუთარ მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის და ასევე ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. ვურჩიეთ, რომ დაამატონ ქვეცნებები. მათემატიკაში ქვეცნებათა რაოდენობა დიდია, შეაბამისად მათი კურიკულუმში არსებობა განაპირობებს გრძელვადიანი მიზნების მიღწევას, . პედაგოგთა მიერ ძირითადად გააზრებულია შედეგები, სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები გრძელვადიან მიზნებად, ჩანს კორელაცია გრძელვადიან მიზნებსა და შეფასების ინსტრუმენტებს შორის. დასტურდება საგნობრივი კურიკულუმებით, შეფასების რუბრიკებით, პედაგოგებთან გასაუბრებით. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
3. სკოლის თვითშეფასების კითხვარის, წარმოდგენილი კურიკულუმებისა და მასწავლებლებთან ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწყებითი საფეხურის ყველა საგნობრივი კურიკულუმი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. რადგან სასწავლო პროცესი დაგეგმილია საფეხურეობრივი გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად და იძლევა შესაძლებლობას გრძელვადიანი მიზნების გააქტიურებას განსხვავებულ კონტექსტებში. სკოლის თვითშეფასების ფორმაში მოცემული აღწერილობით და წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ სკოლას აქვს ინკლუზიური დაგეგმვისა და დიფერენცირებული სწავლების გეგმა. კერძოდ, სკოლაში მოქმედებს მულტიდისციპლინური გუნდი, მუშაობს სპეც-მასწავლებელი, შემუშავებული აქვთ ინდივიდუალური სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. გ. გ. გ.



გეგმები. მშობლები, სპეციალისტი და მასწავლებლები ურთიერთანამშრომლობენ. აქვთ შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების მოდიფიცირების შესაძლებლობა. ბუნებისმცოდნეობაში წარმოდგენილი იდნდივიდუალურ სასწავლო გეგმაში კარგად ჩანს რომ გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლის შედსაძლებლობები და ინტერესები. კურიკულუმი მოსწავლეს ასევე სთავაზობს მრავალფეროვან იდეებს, მე და საზოგადოების კურიკულუმში თემის ფარგლებში გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით საკითხების შესწავლა ეფუძნება მოსწავლეთა ნაცნობ ცხოვრებისეულ კონტექსტებს, რაც წარმოადგენს საფუძველს, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ინტერესი და ინდივიდუალური შესაძლებლობები. დაწყებით საფეხურზე მათემატიკის სწავლების პროცესის შინაარსი მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე, კერძოდ დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები, მოსწავლეთა შეფასების დოკუმენტები, კომპლექსური დავალების ბარათები ასახავს კონკრეტული მოსწავლეების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. ყველა თემა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას; საერთო ჯამში კურიკულუმებში, შუალედური სასწავლო მიზნის მიღწევის აუცილებელ ინსტრუმენტად კომპლექსური დავალებებია წარმოდგენილი, რომელიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები და შესაბამისი დავალება შესთავაზოს მათ. ცალკეულ შემთხვევაში, აქვთ მზოზა კმპლექსური დავალების ადაპტირებული ვერსიები შექმნან. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

4. სკოლის თვითშეფასების კითხვარის, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწყებითი საფეხურზე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდურ ორიენტირებს. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ სკოლა იყენებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს. მათ ისაუბრეს, რომ აქტიურად იყენებენ განმსაზღვრელი შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკებს, რომელიც ორიენტირებულია ცალკეული აქტივობების განხორციელების შეფასებაზე, ხოლო კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებული შეფასების კრიტერიუმებით განხორციელდება განმავითარებელი შეფასება. სასკოლო სასწავლო გეგმით და მასწავლებლებთან ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ შეფასება სწავლა-სწავლების პროცესის განუყოფელი ნაწილი და შედეგების გაუმჯობესების საშუალებაა და რომ იგეგმება თემის ფარგლებში მოსწავლეთა შედეგების ინდიკატორების მიმართებით განსაზღვრელი შეფასების რუბრიკების, ხოლო საფეხურეობრივ შედეგებთან მიმართებით განმავითარებელი შეფასების რუბრიკების მომზადება. სკოლამ 2023-24 სასწავლო წლისათვის არჩევანი გააკეთა შეფასების მეორე ინსტრუმენტზე. დოკუმენტაციის



და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად ვლინდება, რომ დაწყებით საფეხურზე, უცხოური კათედრის მასწავლებლები იყენებენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს. თუმცა, მათ მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები არის ზოგადი ხასიათის და საჭიროებს დახვეწას. სასურველია ახალი რუბრიკების შემუშავება, სადაც შეფასება იქნება გაწერილი თემების მიხედვით და მიმართული იქნება სამიზნე ცნებებსა და მათთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებისაკენ. ქაღალაძე იმსახურებს, რომ კათედრა მუშაობს ამ მიმართულებით. სასწავლო წლის დაწყებამდე, მასწავლებლები გეგმავენ ახალი შეფასების რუბრიკების შექმნას კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებისთვის. ინტერვიუებით დადგინდა რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, შექმნან ყველა თემისთვის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა დაწყებით საფეხურზე. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ გააზრებული აქვთ განმსაზღვრელი შეფასების როლი სწავლის შედეგების აღწერასა და მიღწევის საერთო მაჩვენებელთან მიმართებით. რაც შეეხება განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, კათედრამ წარმოადგინეს 1 ნიმუში მათემატიკაში, რუბრიკა აგებულია მკვიდრი წარმოდგენების გათვალისწინებით. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრას ესმის განმავითარებელი შეფასების რუბრიკების როლი, ისინი მოსწავლის შესახებ აგროვებენ მონაცემთა ფართო სპექტრს, მათზე დაყრდნობის მასწავლებელს უკეთესად შეუძლია ხელი შეუწყოს მოსწავლის განვითარებას. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

5. სკოლის თვითშეფასების კითხვარის, წარმოდგენილი კურიკულუმისა და მასწავლებლებთან ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწყებითი საფეხურზე დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი და ქოლჩინგის პროცესში მიღებული გამოცდილება. თვითშეფასების კითხვარის და ინტერვიუების თანახმად დაგეგმილია მომავალი სასწავლო წლისთვის მოსწავლეთა უკუკავშირისა და მასწავლებელთა თვითრეფლექსიის საფუძველზე მოხდეს კურიკულუმის გადამუშავება, ასევე კათედრის წევრებთან თანამშრომლობით იმუშავებენ თემატური მატრიცის განვითარებაზე საკუთარი პრაქტიკის ანალიზზე დაყრდნობით. ამ ეტაპზე, კურიკულუმში ასახულია მასწავლებელთა პრაქტიკული გამოცდილება. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმები

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

კათედრის ოქმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასკოლო სასწავლო გეგმა
ბრძანება ისე ჯგუფის შექმნაზე
კომპლექსური დავალებები
ინტერვიუ
განმავითარებელი შეფასების რუბრიკები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.


- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.


ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებითი საფეხურის მათემატიკის კურიკულუმში შეტანილი დავალებები, საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. კათედრამ ამის დასტურად გარდა კურიკულუმისა, გასაუბრებისას ზეპირად აღწერეს მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებებიც. მათემატიკის მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ ელ. რესურსებს და უახლოეს პერიოდში სასურველია სრულად ასახონ კურიკულუმში რესურსების ველში. გააზრებული აქვთ, რომ ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების პროცესში მასწავლებლის როლი არის ორგანიზებული მიზნობრივი გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებული იქნება მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნეცნებების გააზრებაზე. კათედრა ამ ყველაფრის საფუძველზე ასაბუთებს, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს აქტიურსწავლასა და მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას. სწავლის პროცესის ეფექტიანობისა და თანამშრომლობითი სწავლისთვის მოტივაცია მნიშვნელოვანია. მოსწავლე ინტერაქციაშია თანატოლებთან, გასცემს და იღებს უკუკავშირს, იზიარებს პასუხისმგებლობას, პედაგოგების მხრიდან შემუშავებული კურიკულუმები მოსწავლეებისთვის პოზიტიურ სასწავლო კლიმატს ქმნის, მასში მოსწავლეებისთვის აუცილებელი, საყვარელი, საინტერესო თემები და საკითხებია გათვალისწინებული, რომელიც მოტივატორია მათი სასწავლო პროცესში მაღალი ჩართულობის, რაც განაპირობებს და უზრუნველყოფს პოზიტიური თვითეფექტიანობის ჩამოყალიბებას. დაწყებითი საფეხურის უცხოური ენების ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, მათი კონტექსტ-მაგალითები და რესურსები აძლევს მოსწავლეს საშუალებას ჩაერთოს აქტიურ შემოქმედებით პროცესში, შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. კათედრის წარმომადგენლებმა ასევე ისაუბრეს სასწავლო პროექტების მნიშვნელობაზე მოსწავლეების შემოქმედებითი უნარების გამოვლენის და განვითარების კუთხით. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
2. მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტირება და ახალ ცოდნამდე მიყვანა სასწავლო პროცესს ხდის უფრო საინტერესოს და მოსწავლეთა გააქტიურებას უწყობს ხელს. პედაგოგების მხრიდან დაგეგმილი კომპლექსური დავალებების განხორციელების დროს ხდება შესწავლილი საკითხების წარმოჩენა, რაც მოსწავლეს საშუალებას აძლევს გადაწყვიტოს მისთვის ნაცნობი პრობლემა, შექმნას საინტერესო პროდუქტი, რაც სასწავლო პროცესს ხდის უფრო ეფექტიანს, რაც შედეგზე გასვლის მთავარი წინაპირობაა. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში გათვალისწინებულია სწავლა-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპები, რომელიც გულისხმობს ახალი ცოდნის აგებას წინარე ცოდნაზე დაშენებით. კურიკულუმებში შემოთავაზებულ კომპლექსურ დავალებებში ყოველი მომდევნო აქტივობა დაფუძნებულია წინა აქტივობაზე, რაც მოსწავლეს საშუალებას აძლევს გადაჭრას პრობლემა და შექმნას საინტერესო პროდუქტი მისთვის ნაცნობ კონტექსტში. აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. სასწავლო პროცესი დაწყებით საფეხურზე ხელს უწყობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას მოსწავლის წინარე ცოდნაზე დაყრდნობით, დასტურდება კურიკულუმით, ინტერვიუს დროს ხაზგასმული სასწავლო პროექტებით, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებებით, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალებით/რესურსებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მოსწავლისათვის ნაცნობ კონტექსტშია განხილული, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში. კურიკულუმის თემა, თემის საკვანძო შეკითხვები, სასკოლო პროექტების ინიცირების წახალისება და მოსწავლისთვის საინტერესო არაფორმალური განათლების ელემენტები - ეს ყველაფერი ეხმარება მოსწავლეს ახალი ცოდნის კონსტრუირებაში წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

3. კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, დასტურდება, რომ დაწყებით საფეხურზე, სასწავლო პროცესში, აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, მეტაკოგნიტური პროცესების განვითარებაზე, პერსონალური, სოციალური და სწავლის კომპეტენციების დახვეწაზე. კომპლექსური დავალების ფარგლებში მოსწავლის მიერ შესრულებული დავალებები, სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობა, მოსწავლის თვითრეფლექსიის რუბრიკები, თანატოლთა შეფასება რასაც ახალი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა ითვალისწინებს კიდევ მეტად გააქტიურებს და გააჯანსაღებს ამ პროცესებს. წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები და სასწავლო პროექტები საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლემ თავად განსაზღვროს და დაგეგმოს აქტივობები, აწარმოოს საკუთარი სწავლის პროცესის მონიტორინგი. წახალისებულია მოსწავლის ცნობისმოყვარეობა და გათვალისწინებულია მისი ინდივიდუალური გამოცდილება. კურიკულუმებში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებულია ისეთი აქტივობები და კითხვები, რომელიც მოითხოვს მოსწავლის მხრიდან დაფიქრებას შესრულებულ სამუშაოზე. დაწყებით საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმში იკითხება, რომ მომდევნო სასწავლო წელს დაგეგმილი პროცესები ხელს შეუწყობს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ ცოდნამდე მიყვანის პროცესს. კურიკულუმის ჩარჩოები აგებულია თემების გათვალისწინებით, რაც ნაცნობი კონტექსტია მოსწავლისთვის და დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. კურიკულუმის



ჩარჩოში ჩაშენებულ დავალების ნიმუშებში ჩანს მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი, მაგ, კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა. (მაგ. ისაუბროს ოჯახის, საკუთარი თავის, მეგობრების და ა.შ (წინა წლებში გავლილი თემების) შესახებ). ინტერვიუს დროსაც მასწავლებლებმა დაადასტურეს რომ მომდევნო სასწავლო წელს პროცესი წარიმართება აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

4. სასწავლო პროცესში მოსწავლის მიერ ხდება ინფორმაციის გაცნობა, მასალის დამუშავება არამარტო საგნობრივი საკითხებიდან გამომდინარე, არამედ სხვა წყაროებიდან, რომლებიც სასწავლო რესურსებშია ჩაშლილი და დეკლარატიულ ცოდნაზეა ორიენტირებული. სწავლის სტრატეგიების შესახებ მიღებული ცოდნა მოსწავლეს პროცედურულ ცოდნას აძლევს, ხოლო ნასწავლის მოქმედებაში გადატანა პირობისეულ ცოდნას განაპირობებს. პირობისეულ, დეკლარაციულ და პროცედურულ ცოდნის კატეგორიებზე ორიენტირებულობა იკვეთება უცხოური კათედრის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის საგნობრივ პროგრამებში. კომპლექსური დავალებები და პროექტული აქტივობები ისეა დაგეგმილი, რომ მოსწავლეები დეკლარაციული ცოდნიდან ეტაპობრივად გადადიან პროცედურულ და შემდეგ პირობისეულ ცოდნაზე. კათედრის წევრები აღნიშნავენ, რომ სამომავლოდ გეგმავენ კომპლექსური დავალებისა და პროექტების რაოდენობის გაზრდას. აღნიშნულდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
5. საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენს, სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზების და ურთიერთდაკავშირების საშუალებას იძლევა. წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვლილი თემები, მოსწავლეს ხელს შეუწყობს საგნობრივი საკითხების გააზრებაში. ხოლო კომპლექსური დავალებები მოსწავლეს დაეხმარება პრობლემის გადაჭრაში, გამოწვევასთან გამკლავებაში, პროდუქტის შექმნაში, სხვისი მოსაზრებების გათვალისწინებასა და ყველა გამოცდილების მობილიზებაში. დაწყებითი საფეხურების კურიკულუმების თემატური დაგეგმვა, კომპლექსური დავალებები და მრავალფეროვანი აქტივობები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. სწავლა-სწავლების პროცესი ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნის განვითარებაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, ახალი პროდუქტის შექმნაზე. გარდა ამისა, მოსწავლეები აქტიურად მუშაობენ სასწავლო პროექტებზე, რომლის ფარგლებში ხდება სხვადასხვა საგანში მიღებული ცოდნის ერთმანეთთან დაკავშირება და გამოყენება. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმი

სასწავლო პროექტები ინგლისურ ენაში

კომპლექსური დავალებები

კომპლექსური დავალების ბარათი

მოსწავლეთა მიერ შესრულებული ნამუშევრები


2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი ორიენტირებულია სამიზნე ცნებებზე, (სამიზნე ცნებებს გადმოიტანონ წინა სვეტში, უფრო თვალსაჩინო ადგილას) მათემატიკური მოდელი, კანონზომიერება, ლოგიკა. მასწავლებლებს გააზრებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





აქვთ მკვედრი წარმოდგენების მნიშვნელობა, ამის კარგი მაგალითია მოსწავლეების მიერ კომპლექსური ბუნების დავალების შერულების შედეგად შექმნილი შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც მიმოიხილეს გასაუბრებისას. ინგლისური და რუსული ენების კურიკულუმის ჩარჩოებში გამოკვეთილია სამიზნე ცნებები, რომელსაც მიემართება შერჩეული კომპლექსური დავალებები, წარმოდგენილია ქვეცნებათა და ქვესაკითხთა იერარქია, რომელთა ურთიერთდაკავშირებულად შესწავლის საფუძველზე მოსწავლე ქმნის მიზნობრივ მთლიანობას საბოლოო პროდუქტის სახით. სასწავლო წლის დასაწყისისთვის დაგეგმილია კომპლექსური დავალების კრიტერიუმების გადახედვა და დახვეწა, რაც მისცემს მოსწავლეებს განზოგადების საშუალებას და უზრუნველყოფს სამიზნე ცნებისა და მისი მკვედრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; ასევე ყურადღება მიექცევა იმას, რომ ყველა სამიზნე ცნება იქნას დამუშავებული. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

2. საგნობრივი საკითხები მოსწავლის პიროვნულ და ფსიქოციალურ განვითარებას უნდა განაპირობებდეს. კურიკულუმების შემუშავებისას, პედაგოგების მხრიდან საგნობრივი საკითხები შერჩეულია მოსწავლის ინტერესების, საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, რომელიც მოსწავლის სწავლის პროცესს ააქტიურებს და საშუალებას აძლევს ამოიცნოს თავისი თავი ძლიერი და სუსტი მხარეებით. უცხოური ენების მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში ყურადღება მახვილდება არა მხოლოდ მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე, არამედ მათ პიროვნულ და სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზე. მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა, ჩაერთოს აქტიურ შემოქმედებით პროცესში, იმსჯელოს, გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულება, შეძლოს გუნდური მუშაობა, თანამშრომლობა, დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები. კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ მათ შესასრულებლად საჭირო აქტივობები ხელს შეუწყობს მოსწავლის პიროვნულ და სოციო-ემოციურ განვითარებას, რაც სწავლა-სწავლების ერთ-ერთი უმთავრესი პრონციპია. უცხოური ენების კათედრას აქვს პროექტული სწავლების გამოცდილება რომელიც ასევე ემსახურება პიროვნული და სოციალური უნარების განვითარებას. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

3. შეფასების სისტემა დაწყებით საფეხურზე ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. სასკოლო სასწავლო გეგმაში აღწერილი განმავითარებელი შეფასების წარმოების აღწერიდან შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოსწავლეების მიერ შესასრულებელი აქტივობები ფასდება მთლიანობაში და ეძლევა შესაბამისი უკუკავშირი. მათ საშუალება აქვთ მთლიანობაში დაინახონ საკუთარი შესაძლებლობები კონკრეტულ დავალებასთან მიმართებით, გაიგონ რა აქვთ გამოსასწორებელი და იმუშაონ მის გაუმჯობესებაზე. ერთ-ერთმა პედაგოგმა პორტფოლიო წარმოადგინა ზეპირად, ანუ იმის ანალიზი თუ რამდენად მოახდინა მისმა საქმიანობამ ზეგავლენა მოსწავლის მიღწევებზე. კათედრის მიერ წარმოდგენილი

შეფასების მასალები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი და ანგარიშები ადასტურებს, რომ ჰოლისტური შეფასების პრინციპები მეტწილად გათვალისწინებულია მოსწავლის შეფასებისას, ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და განუყოფელი ნაწილია მოსწავლის სასწავლო საქმიანობის. შეფასების მიზნები შეესაბამება მოსწავლეების საჭიროებებს, ეხმარება მათ განავითარონ ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები, რომლებიც მათ ცხოვრების მანძილზე დასჭირდებათ. კათედრას შემუშავებული აქვს ზოგადი სახის და კონკრეტულ დავალებზე მორგებული შეფასების რუბრიკები, თუმცა, ახალი სასწავლო წლიდან, კათედრა გეგმავს მეტი ინტენსივობით გამოიყენოს ახალ ფორმატში შემუშავებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

4. კათედრის წევრებმა აღნიშნეს, რომ ახალი სასწავლო წლიდან შეფასების ვალიდურობის, სანდოობის, ობიექტურობის და გამჭვირვალობის გასაზრდელად გეგმავენ ახალი შეფასების ინსტრუმენტების დანერგვას. სკოლას აქვს მოქმედი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მუდმივად აწარმოებენ მუშაობას შეფასების სისტემის დასახვეწად. იმისათვის რომ მოსწავლეებს ჰქონდეთ განცდა, რომ შეფასება არის გამჭვირვალე და ობიექტური, მათი აზრი გათვალისწინებულია შეფასების რუბრიკების შექმნაში, ამასთან ერთად, რუბრიკები გამოკრულია სასწავლო სივრცეში. აღსანიშნავია, რომ კათედრა მომავალშიც გეგმავს გააგრძელოს ინტენსიური საქმიანობა ამ მიმართულებით, რათა დახვეწოს შეფასების სისტემის ვალიდურობის, სანდოობისა და ობიექტურობის უზრუნველყოფის მექანიზმები. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

5. ვერიფიკაცია სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია, რომელიც მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას და სწავლა-სწავლების პროცესის საყრდენს უნდა წარმოადგენდეს. რეალურად ვერიფიკაცია მოსწავლის მიღწევის ანალიზია. წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით სკოლას დირექცია და კათედრები აქტიურად მუშაობენ შეფასების სისტემის შექმნაზე, შეხვედრებისას ხდება მოსწავლეთა შედეგების ანალიზის განხილვა. რის საფუძველზეც შესაძლებელია ვთქვათ, რომ სკოლაში ვერიფიკაციის მექანიზმი არის. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. სკოლა ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებებით: შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის, შეფასების პროცესების და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირია ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც ხელმძღვანელობს ვერიფიკაციის პროცესს. დოკუმენტის თანახმად, ვერიფიკაციის შედეგები გამოყენებული იქნება სასწავლო პროცესის და პროგრამების გაუმჯობესების მიზნით. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით. (ელექტრონული ჟურნალი, შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების შეფასებები, მოსწავლეთა ნამუშევრები/ტესტები). ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ვერიფიკაციის მექანიზმი

ელექტრონული ჟურნალი

შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების შეფასებები

მოსწავლეთა ნამუშევრები

კომპლექსური დავალებების მატრიცები

კურიკულუმი


2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმდებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან გამომდინარე სასწავლო პროცესის შექმნილია უპირობოდ პოზიტიური გარემო, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის ფუნქციურ-კომპეტენტურ უნარების განვითარებაზე. სასწავლო პროცესის ეფექტიანობისთვის სკოლაში სასკოლო საზოგადოებისთვის შექმნილია თანამშრომლობითი, პოზიტიური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





- კლიმატი. 2023-2024 სასწავლო წლიდან იგეგმება მშობელთა მეტი ჩართულობა და სასწავლო აღმზრდელობით პროცესში, მშობელთა მონაწილეობით ღონისძიებების დაგეგმვა და საერთოდ მონაწილეობა სკოლის განვითარებაში და ერთობლივი ზრუნვა მოსწავლეთა აკადემიურ და პიროვნულ წინსვლაზე ზრუნვა. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში მიმღებლობითი და მხარდამჭერი გარემოა. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
2. მასწავლებლის გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროს ყოველთვის ხდებოდა მოსწავლის ინტერესების, საჭიროებების და შესაძლებლობებისას, ასევე ინიციატივების გათვალისწინება, რომლის დროსაც აქცენტი კეთდებოდა მოსწავლის პროგრესზე. რომლის დადგენაშიც ეხმარებოდა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება. მომავალი 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტიდან გამომდინარე სკოლა გეგმავს კურიკულუმის დანერგვის პროცესში მოსწავლეთათვის სხვადასხვა აქტივობების და საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზებას, უფრო მეტი კლუბების ჩამოყალიბებას და სასკოლო პროექტებში და ოლიმპიადებში მონაწილეობას. აქედან გამომდინარე შეიძლება ვიმსჯელოდ რომ სკოლა მომავლისთვის გეგმავს, რომ სასწავლო პროცესი მთლიანად მოსწავლეზე ორიენტირებულად წარიმართოს, სადაც ასევე გათვალისწინებული იქნება ინკლუზიური მიდგომა. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
 3. მასწავლებლის გასაუბრების შედეგებმა აჩვენა, რომ სკოლაში კათედრალური მუშაობის დროს ყოველთვის ხდებოდა წევრთა გამოცდილების გაზიარება, წარმატებების განსაზღვრა, პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. აღნიშნული სკოლის შემთხვევაში მოხდა რამოდენიმე კათედრის მასწავლებლების ჩართულობით საგანთა ინტეგრირება. რამაც გუნდურობა, თანამშრომლობის პროცესი მეტად ეფექტური გახდა. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
 4. სასკოლო საზოგადოების წევრები ჩართული არიან სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში. ერთობლივი მუშაობით მოხდა კურიკულუმის შემუშავება, თემების შერჩევა, სადაც ასევე გათვალისწინებული იყო მოსწავლეთა ინტერესები, აქტივობების (ფესტივალები, ზეიმები, ლაშქრობა, ექსკურსიები) დაგეგმვა მათი ჩართულობით, ყოველივე აქედან გამომდინარე შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ სკოლაში არის პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საგნობრივი კურიკულუმები

კათედრების ანგარიშები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება


2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

